# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 18 დეკემბერი, 2009 წელი.

№ 255 (6355)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

# ნაავკაცარი



## თუ პრეზიდენტს კულტურა უყვარს, და კულტურის მინისტრიც გვყავს, მაშ ვისი ნებართვით ანგრევენ ხელოვნების ძეგლებს?!



რასაკვირველია, არ მოხდება, მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ფრანგებმა დაანგრიეს პარიზის ტრიუმფალური თაღი ან ეიფელის კოშკი, ამერიკელებმა ნიუ-იორკში – თავისუფლების ქანდაკება, ბრაზილიელებმა – რიო-დე-ჟანეიროში ქრისტეს ალალმა, გერმანელებმა – ბრანდენბურგის ჭიშკარი, იტალიელებმა – წმინდა პეტრეს ტაძარი, ლონდონელებმა – ბიგ-ბენი, ჩინურ კედელსა და ეგვიპტურ პირამიდებზე რომ არაფერი ვთქვათ...

დაახლოებით ასეთი გრძნობა გაგვიჩნდა საქართველოში ძალიან ბევრს, როცა ჩვენი ქართველი მიქელანჯელოს – მერაბ ბერძენიშვილის დიდი და მთელი ერისთვის საამაყო ხელოვნების წინააღმდეგ კიდევ ერთი სამარცხვინო შეტევის ამბავი შევიტყვეთ – ქუთაისში უგუნურებმა, დიახ, დიახ, უგუნურებმა – აქ ყველა სხვა სიტყვა უფერული გამოჩნდებოდა – დაანგრიეს თუ ანგრევენ ანდა, უფრო სწორად, უნდაააფეთქონ „გამარჯვების მემორიალი“, რადგან „ისე ნაგებია, სიზმრის გეგონება“ და მარტო პნევმატური ჩაქუჩებით ვერაფერი მოუხერხეს... თანაც რატომღაც თვით პრეზიდენტის დაბადების დღეს უნდა ააფეთქონ თურმე. ალბათ, როგორც ვარდების რევოლუციამდელი ხელოვნებისა და სხვათა გამარჯვების დრომოჭმული ნიმუში...

თუ ვინმე ავად მოკირკიტეს ზემოხსენებულ უცხოურ ხელოვნების ძეგლებთან შედარებით მერაბ ბერძენიშვილისეული ქუთაისის „გამარჯვების მემორიალი“ რითიმე კნინი ეჩვენება, ჯერ ერთი, საშინლად ცდება; მეორეც, დედამისი თუ დედოფალი ელისაბედია, მე დედაჩემი მაგდანა მირჩევნია, ავკაცობისა და უსამართლობის მსხვერპლი; მესამეც, რა ვუყოთ, თუ ქუთაისი არც პარიზია, არც ნიუ-იორკი და არც რიო-დე-ჟანეირო, სამაგიეროდ, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ აწ უკვე სამარცხვინოდ და თავისმომჭრელად დანგრეულ „გამარჯვების მემორიალზე“ არც ერთი თავისი თავის პატივისმცემელი ქვეყანა არ იტყოდა უარს, მით უმეტეს, ის ქვეყნები, რომლებმაც ერთობლივი ძალით დაამარცხეს ფაშიზმი.

აბა, მაშ, რა მოხდა, რატომ დაერია ვარდების ხელისუფლება რატომღაც თავისთვის ყოველივე არასასურველს, მაგრამ ქვეყნისთვის ფრიად საჭიროსა და სასიქადულოს? იმიტომ ხომ არა, რომ ამ „არასასურველის“ უკან ის „არასასურველი“ ადამიანები დგანან, ვისაც კუდის ქიცინი არა სჩვევია და ვინც ბევრად უფრო შორს იყურება, ვიდრე ძალაუფლებისგან აშკარად გარყვნილი ზოგიერთი ვაიხელისუფალი?

„გამარჯვების მემორიალის“ ნგრევის თაობაზე ინფორმაცია არც ერთ სახელისუფლებო არხს არ გადმოუცია, სამაგიეროდ გუშინ სამივე „რუსთავი-2“-მა და ახლად მოვლენილმა ჟანდარმარხმა „რეალ-თივ“-მა მთელი საღამო იმაზე ილაპარაკეს, რომ თურმე რუსეთის მთავრობა ქართული წარმომავლობის რუსი პოეტისა და ბარდის ბულატ ოკუჯავას სახლ-მუზეუმს არ აფინანსებს, და საქართველოს კულტურის სამინისტრო მზად არის, ბულატის სახლ-მუზეუმი თბილისში გადმოიტანოს და დახურვას გადაარჩინოსო.

ძალიან კარგი. როგორც იტყვიან, ნეტამც ჩვენმა თხამ სულ ტყუპ-ტყუპი მოიგოს... მაგრამ ლოგიკას თუ გავყვებით, როგორ უნდა გავიგოთ ბულატ ოკუჯავას სახლ-მუზეუმის საქართველოში გადმოტანისა და საქართველოში კი მერაბ ბერძენიშვილის „გამარჯვების მემორიალის“ დანგრევის ფაქტი?!

აქ მიკიბ-მოკიბვა არ ივარგებს. პირდაპირ უნდა ითქვას: აი, რა ბოროტებამდე მივყავართ ხელისუფლების უგუნურ პოლიტიკას თუნდაც კულტურის სფეროში!

კი, ბატონო, თუ სადმე კულტურას უჭირს, ხელი მიაშველე, ვინ მამაძაღლი დაგიწუნებს საქციელს, მაგრამ შენი კულტურის აღიარებულ ძეგლს რაღატომ ანგრევ?! ანდა რაღა ფასი აქვს სხვის გადასარჩენად გაწვდილ ხელს, რომლითაც შენიანი გყავს მოკლული (დანგრეულიძ, თანაც დიდად სახელოვანი და გამორჩეული შენიანი (ძეგლი-მემორიალიძ!

ამას სამარცხვინო პოლიტიკური თამაში ჰქვია, ბატონებო!

და განა ისიც სამარცხვინო არ არის, რომ ამ ბოლო დროს საქართველოში ლტოლვილი და შეურაცხყოფილი ადამიანების გვერდით ლტოლვილი და შეურაცხყოფილი ძეგლებიც ბლომად გაჩნდნენ!

ვტრაბახობთ, გზები გაგვყავსო, რად გვინდა ისეთი გზები, თუ ბოროტებისკენ მივყავართ; ვტრაბახობთ, სინათლე გვაქვსო, არადა, რუსთაველისა არ იყოს, რა არის იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია; ვტრაბახობთ, ქურდობა მოვსპეთო, და ამ დროს, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკუთარ კულტურას ვქურდავთ, ჩვარში ვკრავთ; ვტრაბახობთ, პოლიტიკურ რეპრესირებულთ მემორიალებს ვუხსნითო; არადა, თუ არა რეპრესია და მკვლელობა, რა შეიძლება ეწოდოს ქუთაისში მთელ მსოფლიოში აღიარებული მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის უთვალსაჩინოესი ნამუშევრის – „გამარჯვების მემორიალის“ ასე მართლაცდა ბარბაროსულად დანგრევას?!

**გურამ გოგიაშვილი**

*P. S. როგორც ამბობენ, ამ „მემორიალის“ ადგილას მავანი ესპანელი ხუროთმოძღვრის პროექტით (თითქოს საქართველოში გაწყდნენ ხუროთმოძღვრები) მალე პარლამენტის ახალ შენობას წამოჭიმავენ. ეს მემორიალი კი ხელს უშლის პარლამენტის შენობის მშენებლობასო. არადა, ამ დროს აქ, გარშემო, იმდენი თავისუფალი ტერიტორიაა, რომ ერთი დიდი აეროდრომი აშენდება, თუნდაც საერთაშორისო. კეთილმოსურნეობის შემთხვევაში ვითომ ეს დიდებული „გამარჯვების მემორიალი“ ვარდების რევოლუციით გამარჯვებული ხელისუფლების პარლამენტს კიდევ უფრო არ დაამშვენებდა?! აი, ამაზეა ნათქვამი, მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო. ანდა ერთი ავი დედაბერი დიღმის მინდორზე ვერ ეტეოდაო (ჯერ ისიც საკითხავია, გვინდა თუ არა მეორე პარლამენტის შენობა ქუთაისში და ამხელა მანძილზე პარლამენტართა წინ და უკან გამუდმებული სირბილი, რაც, სხვა უზარმაზარ ხარჯებს რომ თავი დავანებოთ, ალბათ, „ოთუს ბირი“ დაუჯდება ჩვენს ისედაც შეჭირვებულ და სხვათა შემყურე ქვეყანას?).*

**გ. გ.**

## შიდსი – ეს აფიორაა?

ვისთვისაა ხელსაყრელი





ქათმისა და ღორის გრიპი?

11

## ჩვენი ცოდვით და სოროსის მადლით სავსე ხლისტების პარადი

4

## ფარმაცევტულ ბაზარს თურმე ორი-სამი კომპანია მოაჯდა!



7

## „რონდინეს 14 პუნქტი – კავკასიაში მშვიდობისათვის“

6

## ქართველები ყველა ქვეყნისა პეტერბურგში ერთიანდებიან

8

ინფორმაცია

## საფრანგეთი ნაურუს საქციელს უწუნებს

**ნაურუს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტს ოფიციალური პარიზიც ეხმიანება.**

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, — საფრანგეთი წუხილს გამოთქვამს ნაურუს ხელისუფლების გადაწყვეტილების გამო აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე და კიდევ ერთხელ ადასტურებს საკუთარ ერთგულებას საქართველოს დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი.

## რაულ ხაჯიმბა ბაღაფშის ჩამოსაგდებად იბრძვის

**სეპარატისტული** აფხაზეთის ე.წ. ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, რომელმაც აფხაზეთში ჩატარებულ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში ხმათა 15,4 % მოაგროვა, ბაღაფშთან ბრძოლის გაგრძელებას აპირებს.

როგორც ხაჯიმბა გაზეთ „ნოვიე იზვესტიისათვის" მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, არჩევნები აფხაზეთში გაყალბდა.

მისივე თქმით, აფხაზეთის ე.წ. ცესკოს არჩევნების ტოტალური გაყალბების საშუალება დამატებითმა სიებმა მისცა. ამასთან, ხაჯიმბა განმარტავს, რომ ხმის მიცემის პროცესში არსებული დარღვევები ე.წ. დამკვირვებლებმაც დააფიქსირეს, მაგრამ „არც ერთმა მათგანმა ხმა არ ამოიღო".

— არავითარი პოსტი არ მჭირდება. მომავალშიც პოლიტიკით და „ედინაია აბხაზიასთან" (ბაღაფშის პარტია) ბრძოლით ვიქნები დაკავებული, რომელიც სინამდვილეში აფხაზ ხალხს არ წარმოადგენს. ხუთი წელიც და რამდენიც გნებავთ დაველოდები, მაგრამ მივაღწევ, რომ ეს პარტია წავიდეს, — აცხადებს რაულ ხაჯიმბა.

ჯი-ეიჩ-ენი

შეუთანხმებლობა

# რასმუსენი რუსეთს კიდევ ერთხელ მოუწოდებს



**ნატოს გენერალური მდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი რუსეთს საქართველოს ტერიტორიებიდან საჯარისო ნაწილების გაყვანისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდებს.**

როგორც რასმუსენმა რუსეთში ვიზიტის პირველი დღის ბოლოს, რადიოსადგურ „ეხო მოსკვის" ეთერში სტუმრობისას განაცხადა, მოსკოვს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება სრულად ჯერ კიდევ არ შეუსრულებია.

— რუსეთსა და ნატოს შორის კვლავ რჩება შეუთანხმებელი საკითხები. საქართველო იყო მედვედევთან შეხვედრისას განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა. ჩვენ კვლავ გვაქვს შეუთანხმებლობა საქართველოს საკითხზე. პატივს ვცემთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს და ვთხოვთ რუსეთს დატოვოს საქართველოს ტერიტორია. ყველა ქვეყანას აქვს უფლება, თავად გადაწყვიტოს საკუთარი მოკავშირეების საკითხი, — განაცხადა რასმუსენმა, თუმცა ისიც დასძინა, რომ ამ საკითხზე უთანხმოებამ ნატო-რუსეთის ურთიერთობების პარალიზება არ უნდა მოახდინოს.

ჯი-ეიჩ-ენი

სტუმარი

# თომას ჰამერბერგი ისევ საქართველოშია

**ადამიანის უფლებათა დაცვის ევროსაბჭოს უმაღლესი კომისარი თომას ჰამერბერგი ისევ საქართველოშია.**



— მე არ დავნებდები. ჩამოვედი, რომ საბოლოოდ მოვაგვარო გატაცებული ბავშვების დაბრუნების პრობლემა, რადგან მიმაჩნია, რომ დაუშვებელია უდანაშაულო ადამიანები არსებული პოლიტიკური დაძაბულობისა და პრობლემების გამო ისჯებოდნენ. ამ საკითხზე მოსკოვშიც ვისაუბრეთ. მათაც ესმით, რომ მოზარდების ტანჯვა დაუშვებელია. მუშაობას ვაგრძელებთ საბოლოო მიზნის მისაღწევად — იმედია ეს ასეც იქნება, — განაცხადა ჰამერბერგმა თბილისში ჩამოსვლისას.

შეგახსენებთ, რომ ევროსაბჭოს უმაღლესი კომისარი ცხინვალში ჩასვლას აპირებს, რათა სეპარატისტებისგან მოზარდების გათავისუფლების თაობაზე მიცემული პირობის შესრულება მოითხოვოს.

ჯი-ეიჩ-ენი

პროტესტი

## კიდევ რა დაგრჩათ გასანადგურებელი, ხელისუფალნო?!



**ვინა ხართ, ვისი გორისა ხართ, რასა იქმთ? ნუთუ არ გეყოთ სიბრიყვე და ბოროტება? ჯერ იყო და მერაბ ბერძენიშვილის შექმნილი დავით აღმაშენებლის ძეგლი გააძევეთ თბილისის ცენტრიდან, მერე ვახტანგ ონიანის ცნობილი „ამირანის" ქანდაკება დაანგრიეთ სიღნაღში. ახლა მერაბ ბერძენიშვილის კიდევ ერთ დიდებულ ნამუშევარს შეუტიეთ ქუთაისში — „გამარჯვების მემორიალს". ისეთ ხელოვანს, როგორიც მერაბია, ყველა ქვეყანა ინატრებდა. მაგრამ თქვენ ვერ იტანთ ნიჭიერ, ღვაწლმოსილ ადამიანებს. თქვენ ვერც ჩვენს უწმინდეს პატრიარქსაც ვერ იტანთ, შურითა და ბოღმით აღსავსენო. რამ შეგაძულათ ქართული გენი, ხელისუფალნო?!**

ლონდა მდივანი

გამოძიება

# არც თვითმკვლელობა, არც მკვლელობა, მაშ რა?..

**პროკურატურა ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობას ვერ ადასტურებს. მაგრამ პროკურატურის მასალებში არც მისი მკვლელობის დამადასტურებელი მტკიცებულებები მოიპოვება. პროკურატურის მასალებში დაზუსტებით მხოლოდ იმაზეა საუბარი, რომ ჩეჩნეთიდან დაბრუნების შემდეგ ზვიად გამსახურდიას დევნა ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებული სპეცსამსახურების მიერ ხორციელდებოდა.**

ამის შესახებ განცხადება პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების ფაქტის შემსწავლელი კომისიის სხდომაზე მიხეილ ოსაძემ გააკეთა.

მიხეილ ოსაძე კომისიაში ექსპერტის სტატუსით არის ჩართული. იგი წინა ორი მოწვევის პარლამენტარი და შს მინისტრის ყოფილი მოადგილეა და სწორედ მის სახელს უკავშირდება შევარდნაძის ხელისუფლების მაღალჩინოსნების საკმაოდ ხმაურიანი საქმეების გამოძიება.

ოსაძის განცხადებით, „ზვიად გამსახურდიას საქმის გამოძიება გენერალურ პროკურატურაში 1994 წელს დაიწყო და 2004-ში დასრულდა. მთელი ათწლიანი მუშაობის შედეგად რვა ტომი დაიდო, რომლის დასკვნაშიც ნათქვამია, რომ ვერ იქნა მოპოვებული ინფორმაცია, ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ. პროკურატურა იმასაც ამბობს, რომ ვერ მოიპოვა მისი მკვლელობის დამადასტურებელი მასალები."

იგი აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ საქმის მასალებში არ არსებობს იარაღი, ასევე დაკარგულია მასრა და გულა.

მისივე თქმით, პროკურატურის მასალებში მრავლად არის მოწმეების ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები. მათ შორის ურთიერთსაწინააღმდეგოა იმ პირების მიერ მიცემული ჩვენება, რომელთაც ზვიად გამსახურდია გასროლიდან რამდენიმე წუთში ნახეს.

ასევე საქმეში დევს აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის წერილი, რომელიც პროკურატურას სწერს, რომ ტყვიის კვალი და ჭრილობის მიმართულება თვითმკვლელობის ვერსიას გამორიცხავს.

—პროკურატის მასალები ცხადყოფს, რომ ძალიან ბევრი რამ არის გასარკვევი და ბოლომდე მისაყვანი. სიმართლის დასადგენად ძალიან სერიოზული მუშაობაა ჩასატარებული, — აცხადებს ოსაძე.

ჯი-ეიჩ-ენი

SIC!

# კოკოითი მზადაა ტირძნისელი მაგრამ „არა სააკაშვილის

**ოსი სეპარატისტების ლიდერი ედუარდ კოკოითი საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებასთან საუბრის აზრს ვერ ხედავს. ამის შესახებ კოკოითმა ქართველ უფლებადამცველებთან პაატა ზაქარეიშვილთან, მანანა მებუკესთან და ვახტანგ კომახიძესთან შეხვედრაზე განაცხადა, რომლებიც ცხინვალში მისი მიწვევით ჩავიდნენ.**



კოკოითის თქმით, მან ქართველი უფლებადამცველები „ორი ერის პრობლემების გადაწყვეტის მიზნით მიიწვია, რადგან ხედავს, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ აღელვებს საკუთარი მოქალაქეების ბედი, რომლებიც აღიარებული სახელმწიფოს — სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან". „ისინი ჩვენი კანონებით, ჩვენი სასამართლო ორგანოების მიერ გასამართლდნენ და საუბარი იმაზე, რომ ჩვენთან არასრულწლოვანები იმყოფებიან, არასწორია. არასრულწლოვანები ჩვენ სასამართლო პროცესის დასრულებისთანავე გავათავისუფლეთ. საუბარია ადამიანებზე, რომლებმაც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დანაშაული ჩაიდინეს", — განაცხადა კოკოითმა, რომელსაც „შეუძლია, გამოიყენოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება და საქართველოს მოქალაქეები შეიწყალოს, მაგრამ არა საქართველოს ე.წ. ხელისუფლების ზეწოლის გამო". „მათ გაამძაფრეს სიტუაცია. ჩვენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან გარკვეული შეთანხმება გვქონდა მიღწეული, მაგრამ იაკობაშვილისა და სააკაშვილის რეჟიმის სხვა წარმომადგენლების განცხადებების გამო მე უარს ვამბობ კონსტიტუციით მონიჭებული უფლების გამოყენებაზე. ეს ადამიანები გასამართლდნენ, სააკაშვილმა და იაკობაშვილმა კი ისეთი პოზიცია დაიკავეს, რომ მოლაპარაკებების ნორმალურად წარმართვის საშუალება არ მოგვცეს", — განაცხადა კოკოითმა. ამასთან, დე ფაქტო პრეზიდენტმა დადებითი შეფასება მისცა ევროპის უმაღლესი კომისრის თომას ჰამერბერგის მუშაობას, „რომლის ჩარევით ქართულ მხარეს 200-ზე მეტი ადამიანი გადაეცა".

„ომის შემდეგ მალევე, როგორც კი შუამავლების საშუალებით რაიმე სახის ურთიერთობა გახდა შესაძლებელი, ჩვენ ჰამერბერგს ყოველგვარი პირობის გარეშე დაახლოებით 170 ადამიანი გადავეცით. ჩვენ არ წამოგვიყენებია რაიმე პირობა — გაცვლა ყველა ყველაზე, ან სხვა. ისინი ხომ უბრალო მოქალაქეები იყვნენ, რომელთაც საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღიათ! ჩვენ ისინი არ დაგვიპატიმრებია, არ დაგვიკავებია, ისინი უბრალოდ მათივე უსაფრთხოებისთვის, მეურვეობის ქვეშ ავიყვანეთ. ეს იმ დროს, როდესაც ჩვენი ბევრი მოქალაქე საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა, აგრესორის მიერ იყო გატაცებული და ისინი დღემდე არ გვინახავს. მოდით, ვიყოთ გაცილებით ჰუმანურები და პრობლემები გაცილებით ცივილური გზით გადავწყვიტოთ", — განაცხადა კოკოითმა და განსაკუთრებული ყურადღება „სამხრეთ ოსეთის" არასრულწლოვან მოქალაქეებზე გაამახვილა, რომლებიც „საქართველოს სამართალდამცველი ორგანოების ხელში მოხვდნენ". „ჩვენ გვაქვს ვიდეომასალები, რომელიც ასახავს, რომ მათ ცუდად ექცევიან, ცემენ.

ჩემთვის ძალიან ძნელია, თვალებში ვუყურო მათ მშობლებს, ნათესავებს, რომლებიც ყოველდღე მოდიან ჩემთან", — აღნიშნა „პრეზიდენტმა". მისივე თქმით, „ქართველი უფლებადამცველები პირველი წარმომადგენლები არიან ქართული საზოგადოებისა და უფლებადამცველი ორგანიზაციებისა, რომლებმაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ცხინვალში ჩასვლის გამბედაობა მოიკრიბეს". „ვფიქრობ, რომ ასეთი კონტაქტები პირველ ეტაპზე ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთნდობის აღდგენას შეუწყობს ხელს. ჩვენ დღეს ნაკლებად ვაქცევთ ყურადღებას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის პოლიტიკურ თამაშებს. ისინი უფრო საკუთარ რეიტინგზე ფიქრობენ, ვიდრე ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობაზე. მინდა, გთხოვოთ, მიიტანოთ ეს ქართულ საზოგადოებამდე.

მოდით, ვექებოთ ხიდები, რომლითაც ნდობას ავაგებთ და რომელიც ასე საფუძვლიანად დაანგრია სააკაშვილმა", — განაცხადა დე ფაქტო პრეზიდენტმა. კოკოითმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე აღდგენით პროცესებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ „ცხინვალი პრაქტიკულად ერთ დიდ სამშენებლო მოედნად გადაიქცა". „და ეს ყველაფერი 2008 წლის აგვისტოს შედეგებია, — იმ საქციელის,

სიმართლე კი ასეთია!



***ხელისუფლებასა და „ალიანსი საქართველოსთვის“ შორის რეიტინგების ომი დაიწყო. „ალიანსის“ მიერ გამოქვეყნებულ სოციოლოგიური კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვითაც, ირაკლი ალასანიას თბილისის ამომრჩეველთა 61 პროცენტი უჭერს მხარს, ხელისუფლებამ ირიბად PR-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით უპასუხა. ამ კვლევით, თბილისში ამომრჩეველთა ნდობის მხრივ გიგი უგულავა ლიდერობს, ალასანია კი, მხოლოდ მეორე პოზიციაზეა და მოქმედ მერს პროცენტულად საკმაოდ ჩამორჩება. ირაკლი ალასანიას თანაგუნდელის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, რეიტინგების ომი ხელისუფლებამ წამოიწყო და „ალიანსი“ ამაში არ მონაწილეობს. მისი აზრით, თბილისის მერის მომავალ არჩევნებში წინასწარ გამოქვეყნებული რეიტინგები მნიშვნელოვან კორექტივებს ვერ შეიტანენ.***

# ზურაბ აბაშიძე: ხელისუფლება რომ მძიმე დღეშია, ეს უკვე ფაქტია

ზურაბ აბაშიძე — რეიტინგების ომი ხელისუფლებამ დაიწყო, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში აქტიურად ახორციელებს წინასაარჩევნო კამპანიას. ჩვენ ჯერ წინასაარჩევნო კამპანია არ დაგვიწყია. უბრალოდ, კვლევის შედეგები გამოვაქვეყნეთ იმის დასადასტურებლად, რომ „ალიანსი“ დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. გამოქვეყნებული რეიტინგები ბევრს არაფერს წყვეტს. ამომრჩეველი თავად განსჯის, თუ ვის მისცეს ხმა და ამას გამოქვეყნებული რეიტინგები კი არა, თითოეული კანდიდატის მიერ გაკეთებული საქმე გადაწყვეტს.

**— ISSA-მიერ ჩატარებული კვლევით, რომელიც „ალიანსმა“ შეუკვეთა, თბილისის მერობის ყველაზე რეალური კანდიდატი ირაკლი ალასანიაა. IRI-ს მონაცემებით კი, რომელიც 15 დეკემბერს ცენტრალურმა ტელევიზიებმა გაავრცელეს, მოქმედი მერი გიგი უგულავა 34 პროცენტით ლიდერობს, ალასანიას კი, გამოკითხულთა 14 პროცენტი უჭერს მხარს. ამ ორ მონაცემს შორის დიდი სხვაობაა.**

— მე არ ვიცი, რა მეთოდოლოგიით ჩაატარეს ის კვლევა, რომელშიც უგულავამ ამხელა პროცენტი აიღო. თუმცა, მეორე მხრივ, არ მგონია, რომ უგულავასთვის 30-ზე ოდნავ მეტი პროცენტი კარგი შედეგი იყოს იმ ფონზე, როდესაც მან უკვე დიდი ხნის წინათ დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია და ზურგს უმაგრებს დიდი სახელისუფლებო რესურსი, რომელსაც ის ამ კამპანიაში იყენებს. ხელისუფლება რომ მძიმე დღეშია, ეს უკვე ფაქტია და ამას ვერანაირი შელამაზებული რეიტინგი ვერ შეცვლის.

**— ანუ თქვენ მიიჩნევთ, რომ უგულავას ალასანიასთან მერობის არჩევნებში შანსი არ აქვს?**

— რომელ შანსებზეა საუბარი, როდესაც, ჩვენი მონაცემებით, უგულავას დედაქალაქის ამომრჩეველთა მესამედიც კი არ უჭერს მხარს. უგულავას მთელი საქმიანობა დაფუძნებულია პიარზე და ამას ამომრჩეველი კარგად ხვდება.

**— სხვათა შორის, სხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმაც განაცხადეს, რომ მათ მიერ ჩატარებული გამოკითხვებით, თბილისის მერის მომავალ არჩევნებში სწორედ მათი კანდიდატები ლიდერობენ.**

— ამის თაობაზე ვერაფერს ვიტყვი. მივესალმები, თუ ყველა სხვა ოპოზიციურ ლიდერს მაღალი რეიტინგი ექნება.

**— თქვენი კოლეგა ოპოზიციონერები პრეტენზიებს „ალიანსის“ მიმართაც გამოთქვამენ. კერძოდ, მათი აზრით, „ალიანსს“ ოპოზიციური ფლანგის მონოპოლიზება და იმის დამტკიცება სურს, თითქოს ხელისუფლების ერთადერთი ალტერნატივა ის არის.**

— ასე ნამდვილად არ არის. არც ერთ სხვა ოპოზიციურ ძალას ზემოდან არ ვუყურებთ და მზად ვართ, ყველასთან ვითანამშრომლოთ. რაიმე ფლანგის მონოპოლიზებაზე საუბარიც კი ზედმეტია. უბრალოდ, მოსახლეობას „ალიანსის“ მიმართ დიდი მოლოდინი აქვს და ვცდილობთ, ეს იმედი არ გავუცრუოთ. ასევე, მივესალმებით ყველა ოპოზიციური ძალის გაძლიერებას.

**— ოპოზიციურ პრაიმერში „ალიანსის“ მონაწილეობაზე რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

— არა, ჯერჯერობით სიახლე არ არის.

**— ანუ კვლავ იმ პოზიციაზე რჩებით, რომ პრაიმერში მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებთ მონაწილეობას, თუ მასში ყველა ოპოზიციური სუბიექტი ჩაერთვება?**

— რა თქმა უნდა. ამ პროცესში ყველა ოპოზიციური პარტია უნდა ჩაერთოს, სხვანაირად, პრაიმერში მონაწილეობას აზრი არ აქვს.

**— ირაკლი ალასანიას რეიტინგზე არ მოახდენს გავლენას რამდენიმე ტელევიზიის ეთერში გასული სიუჟეტები, რომლის მიხედვითაც, ალასანიას გასული საუკუნის 90-იან წლებში ე.წ. კულინარიელების მკვლელობებთან აკავშირებენ?**

— ეს სიბინძურე გავიდა, თუ არ ვცდები, გურამ დონაძის ტელევიზიით. სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, რა უნდა ან რის მიღწევას ცდილობს დონაძე?! ასეთი სიცრუე, პირველ რიგში, თავად ხელისუფლებას და მის კანდიდატს მიაყენებს ჩრდილს, რადგან მოსახლეობა ყველაფერს კარგად ხვდება და სიცრუესა და სიმართლეს ერთმანეთისგან კარგად არჩევს. თუმცა, ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელისუფლება მძიმე დღეშია და ფონს გასვლას ბინძური მეთოდებით ცდილობს.

პრობლემა

# რა უბიძგებთ მოზარდებს აგრესიისკენ?

**ძალადობა წარმოშობს ძალადობას! ეს დადასტურებულია, მაგრამ რატომღაც საზოგადოების დიდი ნაწილი ცდილობს არ დაინახოს, ან მართლა ვერ ხედავს იმ მძიმე და საგანგაშო სიტუაციას, რომელმაც მოგვიცვა.**

ყველას კარგად ემახსოვრება პერიოდი (არც ისე დიდი ხნის წინანდელი ამბავიაძ, როცა ტელევიზიებმა მოზარდთა შორის გახშირებულ ძალადობაზე სკანდალი არ ააგორეს. დღე ისე არ გავიდოდა, რომ ამაზრზენი შინაარსის კადრები არ გვეხილა ეკრანიდან. მაშინ ამ ამბავმა, რომლის ათვლის წერტილად არასრულწლოვან გიორგი ზერეკიძის მიერ ჩადენილი კრიმინალური საქციელი იქცა, ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა გადაფარა და ქვეყანას თვალი აუხილა პრობლემაზე, რომელიც არა მარტო ახალ თაობას, არამედ ჩვენი ქვეყნის მომავალსაც ვნებს, ვინაიდან და რადგანაც ახალგაზრდა თაობაა ქვეყნის მომავალი, იმედი და რა ღირებულებებით, ფასეულობებით გაიზრდებიან ისინი, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. შეიძლება მაღალფარდოვანი და ბანალური დასაწყისი გამომივიდა, მაგრამ სხვა სიტყვებით არ შემიძლია აზრის გამოხატვა.

გავიდა დრო და ეს ცნობილი მოვლენები ყველამ დაივიწყა, თითქოს პრობლემა მოგვარებულიყოს. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ამ საკითხის წინა პლანზე წამოწევის რეალური მიზეზია არა სწორი გადაწყვეტილებების მიღება და საზოგადოებასთან ერთად გამოსავლის მოძებნა, არამედ, გარკვეულწილად პოლიტიკური ხერხი, მანევრი ყურადღების გადატანისა, ზოგიერთი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი სუბიექტის თავის გამოჩენის საშუალება. მავანმა სასტიკი და საშიში რეალობით რეკლამა გაიკეთა, ეთერიდან ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით დაგვმოძღვრა, მაგრამ სხვა არაფერი... ნათქვამია, ჭირმა თავი არ დამალაო, თითქოს დაბრუნდა ისევ „ძველი“ დრო, თითქოს ტელევიზიებმა არქივებიდან ამოიღეს მასალები ყურადღების კიდევ ერთხელ მისაქცევად, მაგრამ არა. ახალგაზრდებს შორის, უფრო მეტიც, 10-12 წლის ბავშვებს შორის ძალადობის ამსახველი ცინცხალი ფაქტებით აჭრელდა ტელევიზია და ინტერნეტი. ოღონდ ამჯერად უფრო შემაშფოთებელი (აი ეს კი ნამდვილად იმსახურებს შეშფოთებასა და აღშფოთებასძ ისტორიებით.

იმ ორომტრიალში, რასაც „ქუჩური ცხოვრება“ ჰქვია, ერთ დროს ესოდენ პოპულარული, მანდილოსნებიც საკმაო რაოდენობით აღმოჩნდნენ ჩართული და საპირისპირო ძლიერ სქესზე არანაკლებ „გამოიჩინეს თავი“. არ ვიცი ამ საკითხის ისევ წინ წამოწევა ამჯერად ვის ინტერესებს ემსახურება და ეს არც არის საინტერესო, მაგრამ ცხადია, რომ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. საზოგადოების შეგნებაში ფასადური კი არა ძირფესვიანი ცვლილებებია საჭირო. უსაფუძვლო ბაქიბუქი, რომ ახალგაზრდების მენტალობა შეიცვალა და მათ აღარ აინტერესებთ რომანტიკული საბურველით შემოსილი „შავი სამყარო“, მირაჟი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, განათლების სისტემის სათავეში მყოფი ყოფილი ძალოვანი მინისტრების მცდელობამაც ვერ უშველა. ახლა ახალი მინისტრი კი გვყავს, რომლის პრიორიტეტი სკოლა და მასწავლებელია, მაგრამ ეს ვერ უშველის საქმეს, რადგან გარემოა ძალადობით სავსე და ბავშვებსაც ძალადობით უწევთ თავის დამკვიდრება საზოგადოებაში.

ერთ ამბავს გავიხსენებ. მოგეხსენებათ, როგორ მორთეს დედაქალაქის ქუჩები საახალწლოდ, რამდენი სტუმრობს რუსთაველის გამზირს პატარებთან ერთად, მაგრამ ბავშვები გულგახეთქილი მოჰყავთ იქიდან, რადგან მოზარდებს საახალწლო გართობის საშუალებად მაშხალების აქეთ-იქით, განსაკუთრებით ხალხმრავალ ადგილებში სროლა გაუხდიათ. მოხუცებს ემტერებიან, ირგვლივ მყოფი ადამიანები კი მხიარულად იცინიან. ერთი-ორი თუ გააქნევს თავს სინანულით. ერთ-ერთი ასეთი მოხუცი, რომელსაც „საახალწლო საჩუქარი მიართვეს“, ამბობდა — ცხოვრება ყველანაირად შემაზარეს და ამ ახალგაზრდების შემხედვარე სამომავლო სიკეთესაც ვერ ვხედავო. იქნებ ჩვენი ასეთი ყოფა იმის ბრალიცაა, რომ ზოგიერთს ამ ყველაფერზე მხოლოდ გულიანად ეცინება.

**ანა წიწილაშვილი**

SIC!

# მოზარდების გასათავისუფლებლად, რეჟიმის ზეწოლის გამო“...

რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა ჩაიდინა. რა თქმა უნდა, არ გამოვთქვა პრეტენზია ქართული საზოგადოების, ინტელიგენციისა და სამოქალაქო ინსტიტუტების მისამართით, არ შეიძლება. ჩვენ ასე არ უნდა მოვიქცეთ. იმ ინტენსიურ სროლებშიც კი, რომელიც ცხინვალის და სამხრეთ ოსეთის ყველა სოფლის მიმართულებით ხორციელდებოდა, მე, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს, 40 წუთის განმავლობაში არ გამიცია ცეცხლის გახსნის ბრძანება. ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ, გავქცეოდით ამ ომს. ჩვენ ახლაც სერიოზულ დათმობებზე წავედით, რათა დავამყაროთ დიალოგი“, — განაცხადა კოკოითმა. ამასთან, მან ეუთოს წარმომადგენლებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მათ „აგრესიის დაწყებიდან 2 საათის შემდეგ დატოვეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორია ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე“. ასევე მოიქცნენ ქართული სამშვიდობო ბატალიონის წარმომადგენლები.

უცხოელი ჟურნალისტების ჯგუფი შეხვდა იმ ქართველ ძალოვანებს, რომლებიც ჩვენს საზღვრებთან იყრიდნენ თავს და აქეზებდნენ მათ შეძახილებით, „სწრაფად დაემყარებინათ აქ კონსტიტუციური წესრიგი, გასწორებოდნენ ამ სეპარატისტებს“ და ა.შ. თუმცა ამის შემდეგ მოხდა ისტორიული მოვლენა — გამარჯვება აგრესორზე და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. მოდით, დავიწყოთ ნორმალური პირობების შექმნა ჩვენი მოქალაქეებისთვის — როგორც ქართველებისთვის, ისე ოსებისთვის“, — განაცხადა „პრეზიდენტმა“ და „სამხრეთ ოსეთის კანონისა და კონსტიტუციის შესაბამისად, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მყოფი საქართველოს ყველა მოქალაქის საქმის გადასახედად“ მზადყოფნა გამოთქვა. „ასეთივე თხოვნით მივმართავთ ქართულ საზოგადოებას. გთხოვთ, ასევე, დაკავდეთ პრობლემების გადაწყვეტით და ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღოთ იმ ადამიანების ბედის გადაწყვეტაში, რომლებიც ქართულ საპყრობილეებში იმყოფებიან“, — აღნიშნა კოკოითმა.

თავის მხრივ, პაატა ზაქარეიშვილმა, ოსური მედიის ცნობით, განაცხადა, რომ **„სრულად ეთანხმება სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის შეფასებას აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით“. „მე ზუსტად ვიცი, რა მოხდა, საშინელი ამბები დატრიალდა. არ შემიძლია, ვთქვა, რომ ყველას ისეთივე აზრი აქვს, როგორიც იაკობაშვილსა და სააკაშვილს. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მათი განცხადებების. მადლობელი ვარ თქვენი იმისთვის, რომ ჩვენს თანამოქალაქეებთან შეხვედრის შესაძლებლობა მოგვეცით. ვსარგებლობ შემთხვევით და გთხოვთ, შეიწყალოთ ისინი, რადგან ვინმემ უნდა გადადგას პირველი კეთილი ნაბიჯი. მე, რა თქმა უნდა, გაცილებით ამაყი ვიქნებოდი, რომ ეს ნაბიჯი პირველს საქართველოს ხელისუფლებას გადაედგა, მაგრამ მე თავად ხშირად ვუწევ მათ ოპონირებას და ვკამათობ მათთან, ვაკრიტიკებ და დღეს არის ის შემთხვევა, როდესაც მე აქ მათ ინტერესებს წარმოვადგენ.**

**თქვენს ხელშია დღეს ამ სერიოზული ნაბიჯის გადადგმა და ვფიქრობ, რომ სააკაშვილისა და იაკობაშვილის სიტყვების გამო სხვები არ უნდა იტანჯებოდნენ. რა თქმა უნდა, შეიძლება, ამ ბავშვებს რაიმე უსაყვედუროთ, მაგრამ მე მათ განსაკუთრებულ ბოროტმოქმედებად არ ვთვლი. ჩვენს შორის ისეთი საშინელი ამბები მოხდა, რომ ამ ფონზე მათი ქმედებები ასეთი მასშტაბების არ არის. თუ თქვენი მხრიდან იქნება კეთილი ნების გამოხატვის ჟესტი მათ შეწყალებასთან დაკავშირებით,**



**დარწმუნებული ვარ, რომ ქართული საზოგადოება დააფასებს ამას და თქვენდამი დამოკიდებულებას შეიცვლის, უფლებადამცველი ორგანიზაციები კი გაცილებით გაბედულად მოითხოვენ ქართულ ციხეებში მყოფი თქვენი თანამოქალაქეების გათავისუფლებას“,** — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

**მაკა ბრეგვაძე**

SOS!

*როგორც ჩანს, რომ იტყვიან, არ ასვენებთ გამჩენი ამ ჩვენი ცოდვით და სოროსის მადლით სავსე „თავისუფლების ინსტიტუტის“ მანქურთებს. ამ ცოტა ხნის წინათ ბუდარიხა თუთბერიძის მიერ აგორებულ ბინძურ კამპანიას თითქოს საკადრისი პასუხი გასცეს საზოგადოებამ, მორწმუნე მრევლმა და თვით პარლამენტის ნაცუმრავლესობამაც. მართალია, პრეზიდენტის ნებართვის შემდეგ, მაგრამ მაინც. და ამის მიუხედავადაც არა და არ წყდება ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და პირადად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე, უწმინდესსა და უნეტარესზე ილია // თავდასხმები.*

# ჩვენი ცოდვით და სოროსის მადლით სავსე ხლისტების პარადი,

## ანუ რამ ააფუთფუთა ასე თანამედროვე ბუდარა-ბუდარიხები

სულ ახლახან „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ საპატრიარქოში შეგზავნილმა თუ „დავერბოვკებულმა“ ოთხმა სასულიერო მაღალმა იერარქმა, როგორც ამბობენ, პატრიარქს გადადგომისკენ მოუწოდა. აი ასე, არც მეტი არც ნაკლები — ქვეყანა ილუპებაო!

მერე იყო და, საზოგადოებამ გაიგო პატრიარქისთვის გაგზავნილი წერილის შესახებ, რომელსაც ასე ჰქვია — „კითხვები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქს“, რაც სხვა არაფერია, თუ არა თავის დროზე თეა (ბუდარიხაძ თუთბერიძის მიერ განთავსებული ვიდეორგოლების წერილობითი ვარიანტი, რომელსაც ამჯერად თუთბერიძესთან ერთად ხელს აწერს 235 ხლისტი, რომლებიც საკუთარ თავს „საზოგადოების ნაწილს“ უწოდებენ.

აი, გაიცანით ხელმომწერთაგან ზოგიერთნი — დეკანოზი კახაბერ კურტანიძე, ეკა კვესიტაძე, ნუგზარ პაპუაშვილი, დავით ამირეჯიბი, ბექა მინდიაშვილი, დავით რაფავა, ნუგზარ პაპუაშვილი, რომან ქევხიშვილი... და სხვა მრავალი, ჯერჯერობით 235-მდე თვითლუსტრირებული ხლისტი, ბუდარა-ბუდარიხები. ის, თუ რა ტიპის კითხვებს დასვამდნენ ეს ვაჟბატონ-ქალბატონები, ვფიქრობ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს და ამიტომ იმ სიბინძურეებს აღარ გავიმეორებ.

ამავე ხალხმა პრეზიდენტსაც გაუგზავნა მსგავსი ტიპის წერილი, რომლიდანაც რამდენიმე პასაჟს შემოგთავაზებთ და თავად განსაჯეთ, ჩემო მკითხველო, რასთან გვაქვს საქმე.

**„ვთვლით, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობა სეკულარული სახელმწიფოს ძირეულ პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოდის, რის გამოც შეშფოთებას გამოვთქვამთ და რამდენიმე კითხვით მოგმართავთ. მიგვაჩია, რომ ამ კითხვებზე პასუხების გაცემა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებისთვის მნიშვნელოვანია“.**

აი, ასე, დემოკრატიულ-ლიბერალური ბრახაბრუხით იწყებენ ხლისტები მიშა სააკაშვილისადმი მიმართვას და აი, ის კითხვებიც:

**„რატომ არ იღებენ კანონს ლუსტრაციის შესახებ, რომელიც როგორც პოლიტიკურ, ისე სასულიერო პირებზე გავრცელდება? მიგაჩნიათ თუ არა, რომ პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან და საბიუჯეტო სახსრებიდან მართლმადიდებელი ეკლესიის 25 მილიონით დაფინანსება სხვა კონფესიების დისკრიმინაცია და სახელმწიფოს ეკლესიის საქმიანობაში ჩარევაა? რამდენად კანონიერი იყო 2008 წ. თებერვალში, საპარლამენტო არჩევნების წინ საპატრიარქოს მაღალი იერარქებისთვის „ჯიპისა“ და „პაკაპის“ ტიპის 30-მდე ძვირადღირებული ავტომობილის გადაცემა? რამდენად კანონიერად მიმდინარეობს საპატრიარქოსთვის უძრავი ქონების, შენობა-ნაგებობების, ტყეების და სასოფლო-სამეურნეო მიწების გადაცემა? რატომ არ უბრუნდებათ სხვა რელიგიურ გაერთიანებებს საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონება? რატომ არის გადასახადებიდან განთავისუფლებული მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია? რატომ არ რეაგირებს ხელისუფლება მართლმადიდებელ სასულიერო პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, მაგალითად 2008 წელს „ჰელოუინის“ აღმნიშვნელი ახალგაზრდების დარბევა?..“**



ჩამოთვლის განგრძობას აზრი არა აქვს, რადგან აღნიშნულიც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ რასთან გვაქვს საქმე, ანუ პრეზიდენტის მიმართ ამ ბუდარა-ბუდარიხების დასმული კითხვები, თავისთავად პასუხებსაც გულისხმობს, რაც, სულაც არ მგონია, ძნელი გამოსაცნობი იყოს შენთვის, ჩემო ქართველო მკითხველო. ამიტომ აქ არ შევუდგები დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემას.

ერთ რამეს დავსძენ მხოლოდ ხლისტების წერილის კიდევ ერთ ციტირების შემდეგ — **„არსებული რეალობა სახელმწიფოს საეროობას და ლიბერალურ-დემოკრატიულ განვითარებას უქმნის საფრთხეს“**. აი, ასე მთავრდება ხლისტების მიერ პრეზიდენტისთვის გაგზავნილი „დოკუმენტი“, რაც ერთგვარი პასუხიც არის მათ მიერვე დასმულ სხვა კითხვებზეც, საიდანაც ჩემი პასუხიც მომდინარეობს — **მიმიფურთხებია სახელმწიფოს „საეროობისთვის“, რადგან მე და თქვენც, ჩემო მკითხველო, სახელმწიფოს ეროვნულობა უფრო გვინდა, რასაც, თავის მხრივ, საფრთხეს, სწორედ რომ ე.წ . ლიბერალურ-დემოკრატიული განვითარების ხლისტებისმიერი ვარიანტი უქმნის.**

თავის დროზე, ცალმხრივად გაგებულ-ინტერპრეტირებულმა ე. წ. ლიბერალურ-დემოკრატიულმა დოქტრინამ სიცოცხლე გაუმწარა აკაკის თუ ვაჟას, ხოლო დიდი ილიას სიცოცხლეც იმსხვერპლა. ამავე საფრთხის შემცველია დღევანდელი „ლიბერალდემოკრატების“ — ლევან რამიშვილის, გიგა ბოკერიას, ნოდარ ლადარიას, დავით პაიჭაძის, გიგი თევზაძის და „თავისუფლების ინსტიტუტის“, სოროსის ქუქუნაწოვი ხლისტების „მოღვაწეობა“, რომელთა სამიზნე ჩვენი უწმინდესი პატრიარქია!

**„ლევან რამიშვილი არის პირსისხლიანი შავი ალბინოსი და ეზიზღება საქართველო თავისი ფიზიკური სიმახინჯის გამო“,** — ასეთი კომენტარი გააკეთა „ჯორჯიან თაიმსში“ ლევან რამიშვილის ინტერვიუთი აღშფოთებულმა პოეტმა რეზო ამაშუკელმა. იქვე აკადემიკოსმა ელიზბარ ჯაველიძემაც თქვა: **„სულმიყიდულმა რამიშვილმა ნანიზე როგორ უნდა თქვას, ფულის გამო მტერს მიეყიდაო? მაგის ადგილი ციხეში თუ არა, ასათიანის ქუჩაზე ნამდვილადაა“!**

პოლიტწკიპურტი

# განა მარტო ჭკვა მოიხმარების ცოდნით!

## მხოლოდ ორი შეკითხვა საპატრიარქოსგან თანხების ხარჯვის მხრივ გამჭვირვალობის მომთხოვნ ერთ ახალგაზრდას

*უწინარესად იმას, ვისაც მინდა ორი შეკითხვით მივმართო, ბოდიშს ვუხდი „ერთ ახალგაზრდად“ მოხსენიებისთვის, რაც შეიძლება ირონიულ-დამამცირებლადაც მოეჩვენოს. უბრალოდ, საქმე ის არის, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ ტელეეკრანზე (საზოგადოებრივ მაუწყებელზე) შემთხვევით წავაწყდი ეკა კვესიტაძის გადაცემას, უფრო სწორად, ბოლო ნაწილს იმ გადაცემისა, რომლის მონაწილენიც, როგორც ჩანს, იმაზე მსჯელობდნენ, უნდა ეპასუხა თუ არა საქართველოს პატრიარქს მისთვის 235 ადამიანის ხელმოწერით გაგზავნილი კითხვებისთვის.*



სწორედ მაშინ თქვა იმ ახალგაზრდამ დაახლოებით ასეთი რამ: **დიახაც, უნდა უპასუხოს პატრიარქმა ამ კითხვებს, თუნდაც იმას, რამდენად გამჭვირვალედ დახარჯა საპატრიარქომ სახელმწიფოს მიერ მისთვის გადარიცხული 25 მილიონი.**

კეთილი და პატიოსანი. რა სჯობს კარლიაობას და გამჭვირვალობას, თუნდაც საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის განხრით!

**ჰოდა, მეც გეკითხებით, ჩემო ბატონო: თუ იცით, რა მარკისაა და რა დაჯდა ჩვენი პრეზიდენტის პირადი თვითმფრინავი?**

არ მითხრათ ახლა, არავის უკითხავს, თორემ ამომწურავ პასუხს ოპერატიულად მიიღებდაო!

**თქვენი აზრით, არც ის კითხვა დაუსვამს ვინმეს, რა დაჯდა პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობაო?**

დაუსვამთ! თანაც რამდენს და რამდენჯერ, მაგრამ...

**არადა, ჩემი ღრმა რწმენით, თუ არის, სწორედ აქ არის საჭირო და აუცილებელიც გამჭვირვალობა!**



თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი — ჩვენი სულიერი მამა — ჩვენ, მოსახლეობას, არ აგვირჩევია, პრეზიდენტი და მთელი ხელისუფლება კი სწორედ ჩვენ, ამომრჩევლებმა ავირჩიეთ!

უფრო მეტიც, შეურაცხყოფად ნუ ჩამითვლის ეს ხელისუფლება, მაგრამ **იგი არა მარტო ავირჩიეთ, არამედ დავიქირავეთ კიდეც ხელმძღვანელად** (რისთვისაც ერთობ სოლიდურ სარგო-სარჩოსაც ვაძლევთ ჩვენივე შემოსავლებიდან!ძ **იმისთვის, რომ ჩვენი ცხოვრება უკეთ წარმართოს** (ოღონდ ახლა ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, ჯეროვნად ასრულებს თუ არა იგი ამ მოვალეობასძ!

არ მეთანხმებით, ჩემო კარგო ახალგაზრდავ?

**თუ მეთანხმებით, მოსთხოვეთ პრეზიდენტს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა და იმის დასაბუთებაც, ამ გასაჭირისას, როცა ამდენი პრობლემა გვხრავს, რა აუცილებელი იყო ახალი რეზიდენციის მშენებლობა-მოწყობისთვის, როგორც ამბობენ, 800 მილიონის თუ მეტის დახარჯვა, როდესაც თავისუფლად შეიძლებოდა ამ დიდი ფულის ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენება და არა პირადი კომფორტისთვის (რაო, ვერ ეტეოდა ადრინდელ, საკმაოდ კეთილმოწყობილ სახელმწიფო კანცელარიის შენობაში?)!**

*ალბათ, ამას ფიქრობდა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენიც, როდესაც, ამ შენობის დათვალიერებისას, თქვა: ერთი მილიარდი დოლარი, რომელიც თქვენ გამოგიყავით, დიდი ფულია ისეთი დიდი სახელმწიფოსთვისაც კი, როგორიც ჩემი ქვეყანააო.*

***მაგრამ განა მხოლოდ ჭკვა მოიხმარების ცოდნით, ფულის გამოყენებასაც ცოდნა უნდა!***

*მაგრამ, ააფრინე ალალიო!..*

რუსლან რუსია

SOS!

ერთი სიტყვით, ჩემო მკითხველო, ყოველივე ზემოთ თქმული ლევან რამიშვილის, მთავარი ბუდარას ინტერვიუს ჩათვლით, **ერთი საქმის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილი მგონია, რასაც ზოგადად ხლისტების პარადი, გნებავთ, გადამწყვეტი იერიში ჰქვია ყოველივე ქართულის, ეროვნულის წინააღმდეგ, რისი უპირველესი სიმბოლო ჩვენი დედაეკლესია და მისი უწმინდესი საჭეთმპყრობელია!**

„ენა, მამული, სარწმუნოება“! ამ სამი, ერთარსება სამების მოვლა-პატრონობა დაგვიბარა ანდერძად ილია ჭავჭავაძემ. კი დაგვიბარა, მაგრამ როგორ ვასრულებთ მის თხოვნა-ანდერძს? **ენა — წარყვნილი, მამული — ჩამომცრობილი, რაც დარჩა — ისიც გაყიდული, ან გასაყიდად გამზადებული.**

ჰოდა, ერთადერთი სარწმუნოება დაგვრჩა ამ სამებიდან, რაც დაკარგულის დაბრუნების იმედს გვინერგავს.

**ჰოდა, სწორედ ამიტომაც, ზბიგნევ ბჟეზინსკის, ჯორჯ სოროსის მიერ გამოზრდილ-დაფინანსებული „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხლისტები, ლიბერალურ-დემოკრატიულ ნიღაბს აფარებულნი, ებრძვიან მართლმადიდებლობას, პირადად მის უწმინდესობას, რადგანაც იციან, რომ მართლმადიდებლობა ქართველობას, ხოლო ქართველობა მართლმადიდებლობას ნიშნავდა ოდითგან და დღესაც ასეა! საბედნიეროდ, ჯერჯერობითაც ასეა!**

**და ეს „ჯერჯერობით“ ზეცაში უფალზე, ხოლო მიწაზე ილია II-ზეა დამოკიდებული.**

არასწორი, უფრო მეტიც, სახიფათოა ის დამკვიდრებული აზრი, რომ პატრიარქს ჩვენი, საზოგადოების დაცვა არ სჭირდება, რადგან მას თვითონ უფალი დაიცავს.

არა, ბატონებო! ყველაფრიდან ჩანს, რომ ის, რაც ხდება, თეა თუთბერიძის „უბრალო“ კნავილი კი არ არის, არამედ ეს ნიშნავს, რომ საქართველოში მსოფლიო მასონ-გლობალისტთა აგენტურა (თუმცა რაღა აგენტურაზეა, საუბარი, როცა ღიად მოქმედებენ!ძ „თავისუფლების ინსტიტუტი“ ცხადად, აშკარად და მიზანმიმართულად შეტევაზე გადმოვიდა, მას კი ზურგს ოკეანესგაღმელი პატრონები უმაგრებენ.

აქედან, უფრო სწორად, „იქიდან“ მოდის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი, ალვირახსნილი რუსოფობია, ანტიმართლმადიდებლობა. შავი ალბინოსი პირდაპირ მოითხოვს: თამარ გვერდწითელის, სოსო პავლიაშვილის, ნანი ბრეგვაძის (ჩემი მხრივ დავამატებ: ზურაბ სოტკილავას, გიორგი დანელიას, ზურაბ წერეთლის და ა. შ.ძ რუსეთში მოღვაწე თუ უბრალოდ იქ მცხოვრები მრავალი ქართველის მოღალატედ გამოცხადებას იმის გამო, რომ აგვისტოს ომის შემდეგ ეს ხალხი წითელ მოედანზე არ შეიკრიბა და რუსების სიძულვილის და ჩვენი პრეზიდენტის სიყვარულის ნიშნად ბენზინი არ გადაისხა და კოლექტიურად თავი არ დაიწვა!

დღეს საკითხი ასე დგას — ვინ ვის! ანუ ხლისტების ხელისუფლებამ იცის, რომ ხელისუფლებასთან ერთად, შეიძლება თავებიც დაკარგოს. ამიტომ ყველაფერზე არიან წამსვლელნი!

ჩვენი წინაპრებიც რომ მხოლოდ უფლის იმედზე ყოფილიყვნენ და თავად ხელი არ გაენძრიათ, დღეს აღარც მამული გვექნებოდა, აღარც ენა და აღარც სარწმუნოება. დღეს მისი უწმინდესობის დაცვა ამ უწმინდურებისგან სარწმუნოების, დედაეკლესიის დაცვაა.

**თუ რამე შეგვრჩენია ჩვენი წინაპრებისა, თუ იმ 100 ათასი მოწამის წვეთი სისხლი მაინც დაგვიდის ძარღვებში, აქ, მიწაზე უნდა გავცეთ პასუხი მომძლავრებულ ხლისტებს — ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადავაშენოთ საქართველოდან კრაზანების საბუდარი — „თავისუფლების ინსტიტუტი“ — თავის ბუდარა-ბუდარიხებიანად!**

**თუ არა და, მაშინ, ფუი ჩვენს კაცობას და წყეულნიც ვყოფილიყავით ჩვენი მომავალი თაობების თვალში, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!**

**დავით მხეიძე**

ინფორმაცია

## მერაბიშვილის გინებისთვის დააპატიმრეს ქართლოს ღარიბაშვილი

**ამის შესახებ მისმა ადვოკატმა ზურაბ როსტიაშვილმა განაცხადა.**

**როსტიაშვილის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის შეგინების მიზეზით დააპატიმრეს.**



**— თუმცა შესაბამის ოქმში არ წერია, რომ ქართლოს ღარიბაშვილის დაპატიმრების მიზეზი ის გახდა, რომ მან ვანო მერაბიშვილს შეაგინა, — ნათქვამია როსტიაშვილის განცხადებაში.**

**მისივე განმარტებით, ღარიბაშვილს 15-დღიანი პატიმრობა აქვს შეფარდებული და ამ დროისთვის დროებითი მოთავსების იზოლატორში იმყოფება.**

**— ქართლოს ღარიბაშვილი თორმეტი დღეა, რაც საქართველოს შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორში იმყოფება. მას შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღის ვადით. მასთან ერთად საკანში შვიდი ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირი იმყოფება. საკანში არის ღია საპირფარეშო, რომელიც არ მარაგდება წყლით.**

**შვიდივე პატიმარს სძინავს ერთ ტახტზე გაუხდელად, რომელიც სკამისა და საწოლის მოვალეობას ასრულებს, — აცხადებს როსტიაშვილი.**

**ღარიბაშვილის ადვოკატი პატიმრების, მათ შორის მისი დაცვის ქვეშ მყოფის გაუსაძლის პირობებში ყოფნას აპროტესტებს და შესაბამისი უწყებებისგან სათანადო რეაგირებას მოითხოვს.**

ჯი-ეიჩ-ენი

გლობუსი



# ჯონ ბაასი:
# დიალოგის დროს ჩვენ აბსოლუტურად მიუკერძოებელნი ვართ...

## ინტერვიუ საქართველოში აშშ-ის ელჩთან ჯონ ბაასთან

**— ბატონო ბაას, თქვენ საუბრობთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აშშ-საქართველოს მჭიდრო ურთიერთობის პერსპექტივებზე. ამავე დროს ძალიან ბევრი შეშფოთებულია საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობაით. როგორია და როგორი იქნება თქვენი მოღვაწეობის სეგმენტი საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით?**

— მე ვიტყოდი, რომ ჩვენ გვაქვს დიდი და შინაარსიანი დიალოგი მთელი ქართული საზოგადოების ყველა წარმომადგენელთან. ძალიან მჭიდროდ ვმუშაობთ როგორც ხელისუფლებასთან, ასევე რეგულარული კონტაქტი ყველა მთავარ პოლიტიკურ ფიგურასთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან გვაქვს, ბევრ არასამთავრობო ორგანიზაციას პირდაპირ ვეხმარებით იმ განათლების მიღებაში, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს მათ როგორც ინდივიდუალურად, ასევე – ორგანიზაციულად. მათ დიდი ხმა და როლი აქვთ საქართველოში. ჩვენ ასევე გაცნობიერებული გვაქვს, რომ აუცილებელია ამერიკა საქართველოს საზოგადოების ტრანსფორმაციისა და ტრანზიციის უწყვეტ პროცესს მხარს უჭერდეს, რათა თქვენს ქვეყანას დასავლეთის სრულფასოვან წევრად გახდომის მისწრაფებაში დავეხმაროთ. საქართველო თანდათან ატლანტიკის ინსტიტუტებისა და მნიშვნელოვანი პროცესის ნაწილი ხდება. ამისთვის კი უნდა გაგრძელდეს პოლიტიკური კულტურის მომწიფების პროცესი, ანუ ის გზა, რომლითაც ქვეყნის მთავრობისა და საზოგადოების, მთავრობისა და ოპოზიციის ურთიერთობა ყალიბდება. საქართველოს სწორედ ამ მიზნისკენ უნდა სვლა და ამ გზაზე მას პროგრესიც უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება ისეთ სპეციფიკურ საკითხს, როგორიც ადამიანის უფლებებია, ჩვენ დიალოგის დროს აბსოლუტურად მიუკერძოებელნი ვართ, მხარს ვუჭერთ ადამიანის უფლებების პრიმატს საქართველოში და ჩვენი ამგვარი დამოკიდებულება სრულად ადამიანის უფლებების ჩვეულ ანგარიშებში აისახება. ჩვენ არ უგულებელვყოფთ ამ საკითხებს და ხელისუფლებას მივუთითებთ იმ სპეციფიკურ პრობლემებზე, რომელიც საქართველოში კვლავ არსებობს.

**— ამერიკა ადრე, სსრკ-ის არსებობის დროს, უფრო პრინციპული იყო ადამიანის უფლებების შელახვასთან დაკავშირებით, მაგრამ ახლა, როცა საქართველო და ამერიკა მჭიდროდ თანამშრომლობს, ადამიანის უფლებების საკითხმა თითქოს მეორე პლანზე გადაიწია.**

— მე არ ვეთანხმები ამგვარ შეფასებას. ადამიანის უფლებები და ყველაფერი, რაც ადამიანის უფლებების კატეგორიაში გადის, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის და, ჩვეულებრივ, იგი საქართველოს მთავრობასთან ჩვენი მუდმივი სასაუბრო თემაა. მე არც ისე დიდი ხანია ვარ საქართველოში, მაგრამ უკვე შევხვდი ოპოზიციის მთელს სპექტრს, ლიდერებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, რათა გამეგო მათი ხედვა მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. მე ამ მნიშვნელოვან ინფორმაციას იმისთვის კი არ ვკრებ, რომ სხვა დროისთვის შევინახო, მე მას ვიყენებ როგორც ჩემი შეხედულებების, ასევე ვაშინგტონის შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად. ამის საფუძველზე ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც შეგვიძლია — ქართულ საზოგადოებას ვეხმარებით. აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის ფარგლებში 4 სამუშაო ჯგუფია და ერთ-ერთი დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე მუშაობს. ამ კომისიას თავისი პირველი შეხვედრა საქართველოში რამდენიმე ხნის წინათ ჰქონდა. ისინი, ვინც ვაშინგტონიდან ჩამოვიდნენ, საქართველოს მთავრობასთან კი არა, არამედ ოპოზიციასთან არიან. კომისიას საკითხების დიდი სპექტრი აქვს და იგი საკმაოდ გაცნობიერებულია ხელისუფლებისადმი სამოქალაქო საზოგადოების პრეტენზიებთან დაკავშირებით. მე თვალს ვადევნებ იმასაც, რასაც აშშ საქართველოში აკეთებს და იმასაც, თუ რას ფიქრობენ ადამიანები იმაზე, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. ამას თქვენ ჩვენს საკმაოდ მკაცრ ანგარიშებში დაინახავთ.



**— 2008 წლის აპრილში ბუქარესტში საქართველომ ამერიკის ძლიერი მხარდაჭერის მიუხედავად MAP, ფაქტობრივად, ევროპის მთავარი ფიგურანტი ქვეყნების პოზიციის გამო ვერ მიიღო. აგვისტოში კი უკვე აშკარად ვიწვნიეთ ბუქარესტის მარცხის შედეგი. აშშ აქტიურად ეხმარება საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში, საქართველო თავის მოქალაქეებს ავღანეთში აგზავნის. როგორ ფიქრობთ, აშშ-მ საქართველოსთან პარტნიორობის გარდა, ევროპის ქვეყნებთანაც ხომ არ უნდა იმუშაოს, რათა ევროპამ, რომელსაც რუსეთი ჩვენს ხარჯზე არ ეთმობა, „აიძულოს“ ეს „საგზაო რუკა“ ბოლოს და ბოლოს მოგვცეს?**

— ჩვენ ევროკავშირის ქვეყნებთან პირდაპირ არ ვმუშაობთ, თუმცა ევროპელ მოკავშირეებთან საქართველოს, უკრაინისა და სხვა ქვეყნების ნატოში გაწევრების თაობაზე უწყვეტი დისკუსია გვაქვს. ეს საუბარი იმისდა მიუხედავად დაიწყო, იყვნენ თუ არა მზად ეს ქვეყნები ნატოს წევრობის კანდიდატობისთვის. სულაც შესაძლებელია, რომ დღეს მზად იყვნენ. ჩვენ რეალურად ვსაუბრობთ იმაზე, თუ როგორ გახდნენ ერთ მშვენიერ დღეს ეს ქვეყნები ნატოს წევრნი. არსებობს ნატოს წევრობის სხვადასხვა პუნქტი და ერთ-ერთი სწორედ ის სტატუსია, რომელშიც დღეს საქართველო იმყოფება. მას ჰქვია „ყოველწლიური ეროვნული პროგრამა“, რომელშიც საქართველო ნატოს საერთაშორისო პირად შემადგენლობასთან მუშაობს, იგი ძალიან დეტალიზებული საანგარიშო სავიზიტო ბარათიდან მომდინარეობს. არსებობს ნატოს სტანდარტები, რომლის შესაბამისობა აუცილებელია და ჩვენი მთავრობა თქვენი ქვეყნის თავდაცვითუნარიანობას ადევნებს თვალს: იმას, თუ როგორ გეგმავს საქართველო თავდაცვით პროგრამებს, ამოწმებს ბალანსს იმისას, თუ როგორ მიმდინარეობს სამოქალაქო საზოგადოების მიერ შეიარაღებისა და ჯარის კონტროლი. ეს დემოკრატიის ბუნებრივი მახასიათებლებია და ჩვენი საანაგარიშო ბარათი საქართველოს წინ წასვლის საშუალებას აძლევს, რათა იგი ნატოს სტანდარტების სიმაღლეზე ავიდეს. ჩვენ ყურადღება სწორედ ამაზე გვაქვს გამახვილებული.

**— გასაგებია, მაგრამ ბუქარესტმა ჩვენ სხვა გამოცდილება შეგვძინა... თქვენ ფიქრობთ, რომ ბუქარესტში უარი მხოლოდ სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო მივიღეთ?**

— შემდგომ, იქნებ ნატოს საერთაშორისო მმართელობას ჰკითხოთ, თუ რა რეალური, პრაქტიკული განსხვავებაა MAP-სა და „ყოველწლიურ ეროვნულ პროგრამას“ შორის, რომელიც საქართველოს უკვე აქვს. ვფიქრობ აღმოაჩენთ, რომ მათ შორის ძალიან ბევრი საერთოა იმ საკითხში, თუ რაა ნატოს მოვალეობა, რომელსაც მას ესა თუ ის ქვეყანა თავის შემადგენლობაში ჰყავს.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. ნიუ-იორკი, აშშ**

დოკუმენტი

# „რონდინეს 14 პუნქტი – კავკასიაში მშვიდობისათვის“

## 2009 წლის 16 დეკემბერს „რონდინეს 14 პუნქტი – კავკასიაზე მშვიდობისათვის“ გადაეცა ამერიკის ელჩს ვატიკანში

**„მშვიდობა ის საერთო სიმდიდრეა, რომელსაც შეჰნატრის კავკასიის ყოველი ერი. იგი ურთიერთთანამშრომლობით, პიროვნების პატივისცემითა და კულტურათაშორის დიალოგით აიგება.“ – ასე იწყება „ლა ვერნაში“ ფრანჩესკო ასიზელის ტაძარში (იტალია) ჩატარებულ კავკასიის ხალხთა საერთაშორისო კონფერენციაზე (VENTIDIPACE-SUCAUCASO/მშვიდობის ქარები კავკასიაზე) შემუშავებული დოკუმენტის პრეამბულა.**

ამ დოკუმენტს „რონდინეს 14 პუნქტი – კავკასიაზე მშვიდობისათვის“ ეწოდება („14 Punti per la Pace nel Caucaso“ძ. მას სიმბოლურ საფუძვლად პრეზიდენტ ვილსონის მიერ 90 წლის წინათ შემუშავებული „14 პუნქტი“ ჩაედო, რომელიც თავის დროზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის საფუძვლად მოგვევლინა.

კონფერენციის ჩატარების იდეა დაიბადა 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს შორის წარმოებულ ომზე პასუხის გასაცემად. იდეის ავტორები არიან ასოციაცია „Rondine Cittadella della Pace“-ს (რონდინე – მშვიდობის ციტადელისძ კავკასიელი სტუდენტები – ქართველები, რუსები, აფხაზები, ოსები, ჩეჩნები და ინგუშები. აღსანიშნავია, რომ მათ მთელი სამუშაო პროცესის განმავლობაში გვერდით edგნენ და აქტიურად ეხმარებოდნენ „რონდინეს“ ასევე სხვა სტუდენტებიც: ახლო აღმოსავლეთიდან, ბალკანეთის ქვეყნებიდან და აფრიკიდან. სწორედ ამ ფაქტის გამო მოიწვიეს ეს კონფერენცია, რომელიც იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და სენატის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. მათ გარდა იყვნენ სტუმრები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ევროკავშირიდან, რუსეთიდან და პრაქტიკულად ყველა კავკასიური ქვეყნიდან თუ ავტონომიური რეგიონიდან ჩრდილო კავკასიის რეგიონების ჩათვლით.

დოკუმენტის საწყისი ფორმა სტუდენტებმა შეიმუშავეს, ხოლო მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიიღო კავკასიის სხვადასხვა რეგიონიდან მოწვეულმა 150 სტუმარმა, რომლებიც 16-19 მაისის ჩათვლით „La Verna“-ში (იტალიაძ აქტიურად განიხილავდნენ მის თითოეულ პუნქტს.

კონფერენციაზე „რონდინეს 14 პუნქტს“ გარდა კიდევ ერთ ღირსშესანიშნავ ტრადიციას დაედო საფუძველი. გადაწყდა ჩატარებულიყო რთველი ტოსკანის (ცენტრალური იტალიის რეგიონიძ მევენახეობის ყველაზე პრესტიჟულ ზონაში „კიანტის ვენახებში“, სადაც რონდინეს სტუდენტების მიერ დაკრეფილი ყურძნიდან დამზადდებოდა „VIGNA DELLA PACE“ (მშვიდობის ღვინოძ. ეს იდეა წარმატებით განხორციელდა და ამა წლის 21 ოქტომბერს ამ ღვინის ნომერ 1 ბოთლი საპატიოდ გადაეცა რომის პაპს ბენედიქტ XVI-ს „რონდინეს 14 პუნქტი – კავკასიაზე მშვიდობისათვის“ დოკუმენტთან ერთად.

როგორც მოგეხსენებათ, რომის პაპი არა მარტო კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლია, არამედ, ამავდროულად, სახელმწიფოს პირველი პირი გახლავთ. აქედან გამომდინარე ეს ჟესტი მნიშვნელოვან პოლიტიკურ დატვირთვასაც ატარებს.

კონფერენციის ჩატარებისა და დოკუმენტის საბოლოო ვერსიის მიღების შემდეგ ასოციაცია „რონდინე“, მუშაობის შემდეგ ეტაპზე გადავიდა, რომელიც გულისხმობს, დოკუმენტის ფართო პოლიტიკურ წრეებში გავრცელებას. ამ დროისთვის იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებით, რომელიც ამავდროულად კონფერენციის ჩატარების მთავარი ხელშემწყობი გახლდათ, დოკუმენტი გადაეცათ იტალიაში საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის ელჩებს, 16 დეკემბერს კი ეს დოკუმენტი გადაეცა ამერიკის ელჩს



იტალიაში. ისინი კი, თავის მხრივ, ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტს მათი ქვეყნების მთავრობებს წარუდგენენ.

პოსტკონფერენციული სამუშაო პროცესის შემდგომი ეტაპი იქნება ასოციაციისა და მისი სტუდენტების ვიზიტი კავკასიის რეგიონში და „რონდინეს 14 პუნქტი – კავკასიაზე მშვიდობისათვის“ ოფიციალური პრეზენტაცია.

აღსანიშნავია, რომ როგორც კონფერენციის ჩატარების პროცესი, ასევე მისი შემდგომი ეტაპები ფართოდ გაშუქდა იტალიისა და სხვა საერთაშორისო მასმედიით.

„რონდინეს 14 პუნქტი“ არაერთჯეროვნად შეფასდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში, რომელთა შორის ფრიად აღსანიშნავია იტალიაში საქართველოს ელჩის კონსტანტინე გაბაშვილის კომენტარი: „დოკუმენტის საწყის ფორმაში მეტწილად სტუდენტთა გრძნობები და ემოციები ჭარბობდა, ხოლო მისი საბოლოო ვერსია ძლიერ პოლიტიკურ დოკუმენტადაა ჩამოყალიბებული. გილოცავთ“.

საერთაშორისო კონფერენციის მონაწილენი კავკასიაზე მშვიდობისათვის, „რონდინე მშვიდობის ციტადელის („Rondine Cittadella della Pace“ძ, სტუდენტთა თანაცხოვრების წარმატებულ გამოცდილებასა და მათ მიერ გამომუშავებულ დოკუმენტზე დაყრდნობით, ილებენ ვალდებულებას, პატივი სცენ, შეინარჩუნონ ჩვენი საერთო ისტორიული და კულტურული ფესვების ფასეულობები და გაამყარონ დამაახლოვებელი მახასიათებლები, ადამიანისა და ხალხთა ძირითადი უფლებების დაცვით.

**დავით ჭუმბურიძე,**
**პოლიტოლოგი**

ნამდვილი ამბავი

# ტანწმენდა

**მოვდიოდით „აქედან“, მივდიოდით „იქით“. კეთილმოწყობილი ტრასით შორს იყო ძალიან. გაცილებით უფრო მოკლე გზაც არსებობდა.** მაგრამ იქითკენ მანქანები ათასში ერთხელ თუ დადიოდნენ. ცუდი, კეთილმოუწყობელი გზა იყო და იმიტომ. მსუბუქ მანქანებზე, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! თუ გაივლიდნენ, მხოლოდ ძლიერი სატვირთოები! სხვა ვერა! თუმცა, გზაგასაყარზე, ერთმა დიდებულმა გლეხმა დაგვაკვალიანა, თქვენს „ნივას“ არ გაუჭირდებაო გავლა! ამით წახალისებულებმა გადავწყვიტეთ, ამ მოკლე გზაზე გვეცადა ბედი. მით უმეტეს, რომ აქეთ, გვეგულებოდა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები, მრავალი სალოცავი და სადგომი. ზოგი გზისპირას იდგა, ზოგი კი მიუვალ ხეობებში და მწვერვალთა სიახლოვეს გაზნეულიყო.

ადრეც ვყოფილვარ აქეთ, სტუდენტობის დროს! ავიკიდებდით გუდა-ნაბადს და დავეხეტებოდით საქართველოს ულამაზეს კუთხე-კუნჭულში.

ჰოდა, გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ, დაგველაშქრა ეს მხარე!



გზა ჭირკვალად მიყვებოდა ფერდებს. ხან ხეობაში იძირებოდა და ხან მთის კორტოხზე გადადიოდა. მართლაც, ძნელი გზა იყო, ნანიაღვრალი და ნამეწყრალი. მაგრამ მივიწევდით წინ და გვიხაროდა, რომ ასე ვაჟკაცურად ვძლევდით სიძნელეს.

მუხლი მოვიყარეთ ერთ, მეორე, მესამე ტაძართან თუ ნატაძრალთან. მადლი შევწირეთ უფალს, რომ კიდევ ერთხელ მოგვეცა საშუალება, გვეხილა ყოველივე ეს. ხეობების თვალწარმტაც სილურჯეში, ხან აქ, ხან იქ, შარას გვინათებდა მზის ჩხორია და იგი იმ სანთელს ჰგავდა, რომელსაც ვანთებდით სალოცავთა ფერხთით.

კიდევ ერთ უკაცრიელ მოსახვევს რომ გავცდით, გზაზე, წვერდაფენილი კაცი იდგა. ფეხებთან უზარმაზარი ხურჯინი edო. რა თქმა უნდა, გაგვიკვირდა ძლიერ! საიდან? ვინ არის? რა უნდა აქ? და ათასი კითხვა აგვეშალა გაოცებისგან დაოსებულებს!

მაინც და მაინც, ცხვირწინ არ გაგვიჩერებია „ნივა“, ცოტა გავცდით და იქ დავამუხრუჭეთ.

სადაც იდგა იქიდან არ განძრეულა! ჩამოვედით მანქანიდან და მივესალმეთ.

პირს ჯვარი გადაისახა.

– ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ!

– სწორად მივდივართ, ძმაო?

– ყველა გზა სადღაც მიდის, გააჩნია თქვენ სად მიდიხართ?..

ვუთხარით.

– სწორად მიდიხართ!.. უფალი მიგიძღვოდეთ, სწორ გზაზე მავალთ!..

შევატყვე, მაინცდამაინც არ ეხალისებოდა ზედმეტი საუბარი.

სულში ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა.

– წყაროსთან გვინდა პური გავტეხოთ, დაგვეწვიეთ! თორემ, ამ უკაცრიელ მთებში მარტოკებს ვერ გადაგვიწყვეტია წახემსება!

– წყაროები მრავლად არის ამ ხეობაში. ყველა ანკარაა და მადლცხებული! პურზე მოწვევას კი მხოლოდ უსულო თუ ეტყვის უარს!

მანქანა, რამდენადაც შეიძლებოდა, გვერდზე მივაყენეთ, წყაროსთან. ჩვენი „აბგიდან“ მწირი საგზალი ამოვალაგეთ და სანამ ლუკმას გავტეხდით, უცნობმა „მამაო ჩვენო“ წაიკითხა. მე და ჩემი „მეწყვილე“ მოწიწებით შევყურებდით გზაზე ანაზდად „შეფეთებულ“ მოძღვარს.

თანდათან გავიცანით ერთმანეთი.

– მეუდაბნოე ვარ!.. ამ მთებში ვდგევარ!.. წმინდა ფოქვაა მაღლა და იქიდან ვევედრები უფალს!

– ალბათ, გიჭირთ?

– არა! უფლის სიახლოვეს გაჭირვება არ არსებობს, უფალია მეოხე ჩვენი სულებისა!.. დიდება მის სახელს!

კრძალვითა და რიდით, ცოტა-ცოტა შევყევით საუბარს.

– დიდი ხანია, მამაო, ამ მთებში, რომ ხართ?

– მე მოძღვარი არა ვარ... მეუდაბნოებაა ჩემი ხვედრი ახლა და კარგა ხანს, კიდევ!.. სამი ზაფხული და ორი ზამთარია აქედან შევსთხოვ მაღალ ღმერთს შემინდოს ცოდვები და გადაცდომა!

მე და ჩემმა „მეწყვილემ“ ერთმანეთს გადავხედეთ.

– რა თქმა უნდა, შეგიწყნარებთ უფალი!

თითქოსდა, ჩაიღიმა.

– გისმინოთ უფალმა, მაგრამ მე იმდენი ცოდვა მიმიძღვის, ჯერ ადრეა შენდობაზე ლაპარაკი!.. ამიტომ არ მინდა გითხრათ ვინ ვარ და... თქვენც ნუ იტყვით სად შემხვდით!..

– რა ცოდვები გაქვთ ასეთი, ბატონო ჩემო? – ვერ მოითმინა ჩემმა „მეწყვილემ“ და მიკიბვ-მოკიბვის გარეშე დაუსვა ეს კითხვა.

– მე ქურდი ვიყავი!.. მიყაჩაღნია კიდევაც, ციხეშიც ვმჯდარვარ და სული გამიწირავს დასაღუპავად!..

– მერე?

– მერე ის, რომ ერთ მშვენიერ დღეს, უფალმა მაუწყა მომენანიებინა და თვითგვემით დავბრუნებოდი მიწიერ ცხოვრებას!.. მესამე წელია ვცდილობ ამას!..

– სხვებიც ხომ არ არიან თქვენთან ერთად?

– არა!.. აქ არა, მაგრამ სხვაგან ვიცი, არიან!

– ყველა ქურდმა ასე რომ გააკეთოს, არ იქნება ურიგო! – აქტიურობდა ჩემი „მეწყვილე“.

– სხვების განსჯა არ არის ღვთისნიერი საქციელი! ყველა თავის გზით მიდის უფლის კართან!

– მაგრამ ბევრი ნაუბედურალი, ხშირად მიდის ეკლესიის კართან და, თუ შიგნით შეუშვი, მერე, მადლცხებულ წმინდანად მოგაჩვენებს თავს...

– განვედ, ბოროტო სულო, ჩვენგან!..

– ნაუბედურალი ფულით ეკლესიებსაც აგებენ და კვლავ ისევ აგრძელებენ თავიანთ ძველ „ხელობას“!.. თითქოს, მოინანიესო ცოდვები!..

– დაიფარე უფალო, სული ჩვენი!

– ...და, არა თვითგვემითა და სინანულით, ინანიებენ ცოდვებს, რომ მერე მიიღონ კურთხევა მღვდელმსახურებისა! – ცოტა გაწიწმატდა ჩემი „მეწყვილე“.

– განდეგილი მეუდაბნოეს განსასჯელი არ არის ყოველივე ეს... უფალო შეგვიწყალე, უფალო შეგვიწყალე, უფალო შეგვიწყალე!

– რამ უნდა გაწმინდოს კაცი ბოროტებისგან?

– თვითგვემამ და გულმხურვალე სინანულმა!.. მერე, თუ უფალმა ინება, შეუძლია ტაძრის ზღურბლს მიუახლოვდეს!

– შეგეწიოს უფლის რწმენა!.. სადაური კაცი ხარ და ვინ ლოცულობს შენზე?

– ქართველი ვარ, როგორც ხედავთ!.. უზნეობამ წუმპეში რომ გადამაგდო, ის ქართველი!.. მეც ტაძრის კარებთან მინდა მივიდე... ოღონდ განწმენდილმა და სულამაღლებულმა!.. ლოცვით დედაჩემი ლოცულობს, ალბათ, რომელსაც დაკარგული ვგონივარ!..

ჩაფიქრდა.

– ...ერთადერთი ეს მადარდებს და!.. ვიცი, გავახარებ, უსათუოდ, როცა დავბრუნდები განწმენდილი და სულიერად სუფთა!..

– მერე რას იზამ?

– უკვე არგამად შევწირავ ჩემს არსებას მაღალ ღმერთს!

– კი, მაგრამ რითი ცხოვრობ ამჟამად, ამ გამოქვაბულში, რითი არსებობ?

– ვარსებობ უფლის რწმენითა და აი, ამ ხალხის მადლით! – მზერა მიაპყრო დაბლა, ხეობაში განფენილ სოფელს.

– ...ხანდახან ჩამოვდივარ სოფლად და ბარაქით მავსებენ კეთილი ღვთისმსახურები!

გზა კვარკვანტიად ჩაუყვებოდა ხეობას. ოდნავ მოიღრუბლა. ხურჯინიანი მეუდაბნოე აღმა მიუყვებოდა ნაბილიკარს.

ჩვენს „ნივასაც“ თითქოს გაეკმინდა ხმა და მიგორავდა თავდაღმართზე.

– რაზე ფიქრობ? – მკითხა „მეწყვილემ“.

– როგორი ძლიერი უნდა იყო კაცი, ეს რომ გააკეთო?..

– როგორი ბედნიერია ეს კაცი, რომ ასეთი უძვრელი რწმენა აქვს?

– მადლობა უფალს!

...დანგრეულ-დამეწყრილი გზის სირთულით მივდიოდით „იქით“ და ჩვენ გვიხაროდა, რომ გვყოფნიდა ძალა გადაგველახა ეს გზა!

**ზაურ ფიფია**

## სამკურნალწამლო ბიზნესი

**სენსაციების მოყვარულ პრეზიდენტს ყნოსვამ არც წინასაახალწლო დღეებში უღალატა. სულ მთლად ახალ, ცხელ-ცხელ ამბავზე მოგახსენებთ, რომელიც ბატონმა მიხეილმა უკრაინაში ბოლო გასტროლის შემდეგ ტელევიზიით „გააჟღერა“. თურმე ნუ იტყვით და ამ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში, სადაც საააკაშვილისავე თქმით, არც თუ დიდი ხნის წინათ ეკონომიკა მთლიანად ჩამოშლილა, მედიკამენტები გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე ამ ჩვენს ეკონომიკურად და დემოკრატიულად აყვავებულ საქართველოში.**

როგორ და რანაირად მოხდა ეს „სასწაული“, ან თუ მოხდა, ისეთი დაკვირვებული თვალისა და განსჯადი გონების პატრონს, როგორიც ბატონი მიხეილ სააკაშვილია, ეს თვალხილული ამბავი უკრაინაში ყოველკვირეული მოგზაურობისას

ასეა, საქართველოს ხელისუფალთ, როგორც კანონმთხზველებს, ისე აღმასრულებლებს, ფულის დეფიციტი და საგასტროლო პრობლემები მაინც და მაინც არ აწუხებთ, აი ხალხს რა აწუხებს, ამის ინფორმაციულობაზე კი მაგრა მწყრალად არიან. ეს თვალნათლივ გამოჩნდა ამ ფაქტიდანაც, როცა პრეზიდენტმა საკუთარ ქვეყანაში წამლების სიძვირის ამბავი უკრაინაში მორიგი ვოიაჟის წყალობით შეიტყო. თქვე კაი ხალხო, იცით, რომ პრეზიდენტი გაზეთებს არ კითხულობს (ამის თაობაზე ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში განაცხადა), მაგრამ თქვენ ხომ მაინც უნდა ადევნოთ თვალი პრესას, სადაც წამლების კატასტროფულ სიძვირეზე და მოსახლეობის გაუსაძლის გასაჭირზე, მთელი წლებია, საგანგებო მასალები ქვეყნდება? შემთხვევით ბატონი პრეზიდენტი პირადად რომ არ წაწყდომოდა ამ სავალალო ვითარებას, მოახლოებულ არჩევნებს რა პირით უნდა შეხვედროდით?

იცის პრეზიდენტმა სააკაშვილმა წამლებთან „მიტმასნილი“ საარჩევნო ბატალიების ამბავი? ეტყობა, არ იცის, თორემ ხომ უარესად აღშფოთდებოდა? მაგის სიტყვაძუნწობის ამბავი რომ ვიცით, ამის თაობაზე ჭორადაც რომ რამე სმენოდა, დარწმუნებული ვარ, ვერაფრით გაჩუმდებოდა. აი ფარმაცევტულ ბაზარზე ცალკეული კომპანიების პარპაშს კი ნახეთ როგორ „შეუტია“? მართალია მათი ვინაობა არ დაუსახელებია (ისედაც ცხადია, რომ „ავერსსა“ და „პსპ“-ს გულისხმობდა), მაგრამ მონოპოლისტების წყალობით წამლებს რომ ცეცხლი უკიდია, ეს შეუფერადებლად აღიარა. ბენდუქიძის ბედი, რომ მინისტრის სკამზე აღარ იჯდა (მონოპოლიებს სწორედ ის მფარველობდა), თორემ თავის რუმბივით გაბერილი მუცლით იქიდან მეორედ დაგორება



# რამ ააღაშფოთა პრეზიდენტი?

## ფარმაცევტულ ბაზარს თურმე ორი-სამი კომპანია მოაჯდა!

როგორ უნდა გამოპარვოდა? მას გულგრილობას ვერ დავაბრალებთ, ამ შემთხვევით გამომტყვრალი „გაუგონრობის“ გამო თავად პრეზიდენტიც გაოგნებული ჩანდა, რომლის დაუნახაობა ჩვენი მხრივ აშკარად დაუმადლებლობა იქნებოდა. რაც მთავარია, ქვეყნის მეთაურმა „გულწრფელად“ აღიარა, რომ საქართველოში მედიკამენტები 40 პროცენტით ძვირად იყიდება, ვიდრე ის რეალურად ღირს. თანაც არ დაიზარა და ზედ ახსნა-განმარტებაც მიაყოლა: ასე იმიტომ ხდება, რომ ფარმაცევტულ ბაზარს საქართველოში სულ ორი-სამი კომპანია მოაჯდა და როგორც მოეპრიანებათ თუ მოესურვილებათ, წამლებს ისეთ ფასში ყიდიანო(!).



აგაშენათ ღმერთმა, ბრმა რასა ჩიოდა და თავის ორსავ თვალსაო. უკვე რამდენი წელია ხალხი კვნესის, კვნესის კი არა, ლამის ღრიალებს: მთავრობა არა ხართ, მოგვხედეთ, გვიხსენით ამ სამკურნალწამლო ბიზნესისგან, თორემ „იაფფასიანი მკურნალობით“ ლამის სული ამოგვხადონო. კიდევ კარგი ბედად ღორის გრიპის ეპიდემია წამოგვეწია (ეტყობა, სააკაშვილმა უკრაინის აფთიაქებში ამ გრიპის შიშით შეიარა), თორემ საქართველოს ხელისუფლება მედიკამენტების სიძვირ-სიიაფით რატომ დაინტერესდებოდა? მე თქვენ გეტყვით, ჩვენებურ მინისტრებსა და პარლამენტარებს ფულის პრობლემა აწუხებთ ან უსაზღვარგარეთობა, რომ ადგილობრივ აფთიაქებში დაიწყონ წამლების ძებნა-წოწიალი.

არჩევნები წამლებთან რა კავშირშიაო, იკითხავს მავანი. თქვენ წარმოიდგინეთ, არჩევნებს თურმე სამკურნალწამლო ბიზნესთან ძალიან მჭიდრო და მეგობრულ-წილობრივი ურთიერთობები აკავშირებს. ეს განსაკუთრებით კარგად მოეხსენებათ ომის ვეტერანებსა და პენსიონერებს, საერთოდ, ჯანმრთელობაშერყეულ ადამიანებს (ასეთები კი ჩვენი მოსახლეობის უმეტესობას შეადგენენ), რომლებსაც არჩევნებში „ნაცებისთვის“ ხმის მიცემის შემდეგ აფთიაქებში წამლების გაორმაგებული ფასებით შეძენა უწევთ. თუ ვინმე აღმოჩნდება ისეთი, რომელიც ამას არ დაიჯერებს, გადახედოს მედიკამენტების პრეზიდენტისა და პარლამენტის ბოლოარჩევნებამდელ ფასებს, შეადაროს ეს ახლანდელს და მერე გვეკამათოს. აი, თბილისელი ნანა სიმონია თურმე ასეთების გასამტყუნებლად მოხმარებული წამლების ქვითრებს საგულდაგულოდ ინახავს და ამით ანგარიშობს რომელმა მედიკამენტმა რამდენით მოიმატა. მისი თქმით, „პროდუქტალ MP“, მაგალითად, რომელიც არჩევნებამდე 24 ლარი ღირდა, შემდეგ 31 ლარამდე გაძვირდა. 10-მილიგრამიან „კონკორში“, რომელსაც ადრე 17 ლარად ვყიდულობდი, ახლა 32 ლარი გამომართვეს, ხოლო კვირის თავზე უკვე 38 ლარი გადამახდევინესო(!).

მოუწევდა. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ამას რაიმე ეფექტი მოყვებოდა. ყველა ხედავს, ბატონ კახას რაც მეტს აგორავებენ, უფრო და უფრო წონადი ხდება(!).

რადგან უფალ პრეზიდენტს ფარმაცევტული მონოპოლიური კომპანიების არჩევნებთან „მეგობრობის“ თაობაზე არაფერი სმენია, ცხადია, ეს უკანასკნელნი პირის მოკუმვას ამჯობინებენ, მაგრამ იმას კი ახერხებენ, რომ წამლებზე ფასების გაორკეცებით არჩევნებზე დაკარგული თანხები უკანვე დაიბრუნონ. „პსპ“ და „ავერსი“, რა თქმა უნდა, მონოპოლისტობის აღიარებისგანაც თავს იკავებენ, მაგრამ სამაგიეროდ საააფთიაქო ქსელის ლიდერობას ჩემულობენ და ერთმანეთს ლატაკი მოსახლეობის ბოლომდე გატყავებაში ეჯიბრებიან. ვერც იმას დავუკარგავთ, რომ ქველმოქმედებასაც ეწევიან და სოციალურად დაუცველ ფენას წამლებს ფასდაკლებით აძლევენ, მაგრამ თუ ამათ 10 პროცენტით ნაკლებს ახდევინებენ, ხოლო როგორც პრეზიდენტი ამბობს, რეალურზე 40 პროცენტით მეტად ყიდიან მედიკამენტებს, რომელ ქველმოქმედებაზე შეიძლება ლაპარაკი?

დასკვნის დროც მოსულა, რაც იმას ნიშნავს — ვივარაუდოთ, რა შედეგი მოჰყვება პრეზიდენტის მოულოდნელ აღმოჩენა-აღშფოთებას? თუ აქამდე მომხდარ ანალოგიურ შემთხვევებს გავაანალიზებთ, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ხალხის სასარგებლოდ და მონოპოლიური კომპანიების საზიანოდ არაფერიც არ მოხდება. ერთადერთი, რის იმედიც შეიძლება ვიქონიოთ, ის გახლავთ, რომ პრეზიდენტის კიევში მომავალი ვოიაჟისას, რაც უახლოეს მომავალში უცილობლად შედგება, შეიძლება კიდევ ერთ აღმოჩენას გამოვკრათ ხელი, რომელიც დენის უკრაინულ ტარიფს შეეხება. რა თქმა უნდა, პრეზიდენტი სააკაშვილი არჩევნების წინ ერთხელ კიდევ აღშფოთდება იმ „გაუგებრობით“, რომ უკრაინაში მოსახლეობა ერთ კილოვატსაათ ელექტროენერგიაში ჩვენი ვალუტის კურსით 6 თეთრს იხდის (სამჯერ ნაკლებს, ვიდრე საქართველოში), მაგრამ ეს სულაც არ იქნება იმის მაუწყებელი, რომ დენის ტარიფი საქართველოში სამჯერ თუ არა, ორჯერ მაინც შემცირდება.

**ოთარ ხუციშვილი**

## დედაქალაქი




# დაუბრუნეთ აღმართს მისი კუთვნილი სახელი!

**ოთხშაბათს, 9 დეკემბერს გვიან ღამით საზოგადოებრივმა ტელევიზიამ გადმოსცა საინტერესო სიუჟეტი „ჩემი ქუჩა“. იგი შეეხებოდა ბარათაშვილის აღმართს და მისივე სახელობის ხიდს, რომელსაც ადრე მუხრანის ხიდი ერქვა. რა თქმა უნდა, კარგია ასეთი რუბრიკა, მაგრამ იგი აუცილებლად, ისტორგიულ ჭეშმარიტებას უნდა ეყრდნობოდეს.**

როგორც სიუჟეტის წამყვანმა გვაუწყა, ადრე აღმართის ტერიტორია ქართველ თავადებს ციციშვილებს ეკუთვნოდათ და ამიტომაც უწოდეს მას ციციანოვის აღმართიო. სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარად არის.

ჯერ გავარკვიოთ ვინ იყო ფარსადან ციციშვილი (ციციანოვი), რომლის სახელიც დიდხანს შემორჩა აღმართს და რა როლი შეასრულა მან გზის გაჭრაში? ახლანდელი ბარათაშვილის აღმართზე გზის გაჭრის იდეა, სწორედ მას უკუთვნის. მანვე საკუთარი ხარჯებით გაიყვანა გზა, რასაც თბილისის საზოგადოება დიდი კმაყოფილებით შეხვდა.

ფარსადან ციციშვილი იყო ბიძაშვილისშვილი მთავარმართებელ პავლე ციციანოვისა, რომელიც 1806 წლის იანვარში ბაქოს აღებისას ვერაგულად მოკლეს და იქ დაკრძალეს. 1812 წელს მთავარმართებელმა მარკიზ პაულუჩიმ პავლე ციციანოვის ნეშტი ბაქოდან თბილისში ჩამოასვენა და სიონის ტაძარში დაკრძალეს. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S-1446 ფონდში ინახება ციციშვილების გენეალოგიური ნუსხა, საიდანაც ვიგებთ, რომ პავლე ციციანოვის პაპა პაპუნა და ფარსადანის პაპა ქაიხოსრო ძმები ყოფილან. 1808 წელს ფარსადან ციციშვილმა ეგზარქოს თეოფილაქტეს დავალებით დაიწყო სამსახური ქართულ ეკლესიაში. XIX საუკუნის 20-იან წლებში ის პეტერბურგშია. იქ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან იონა ხელაშვილთან და სიმონ დოდაშვილთან. იგი ერთხანს კათოლიკოს ანტონ მეორესთანაც მსახურობდა, რის გამოც მას მუდმივი პენსია დაენიშნა 500 რუბლის რაოდენობით წელიწადში.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ის აქტიურად ჩაება საქართველოს ეკლესიის სამსახურში და დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. მისი ინიციატივით თბილისში, რიყეზე აშენდა საცხოვრებელი სახლი. ისტორიკოს პლატონ იოსელიანის ცნობით, მისი ინიციატივითა და სახსრებით შეკეთდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, ვახტანგ V-ის ასულის ელენეს მიერ აშენებული და 1795 წელს აღამაჰმადხანის შემოსევის შედეგად დანგრეული და დიდხანს გაუქმებული რომ იყო. „1835 წელს ფარსადან ციციანოვმა დააკერა კედლები: საყდარი ესე დაჰყვა სახლსა შინა მისსა“ — (S —3034).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფარსადან ციციშვილის მიერ საკუთარი ხარჯებით, რიყიდან ავლაბრისაკენ, კლდიან ფერდობზე გზის გაჭრა. ამ მეტად რთული და ძნელად გასაყვანი გზის გაჭრა დიდხანს გაგრძელდა და საბოლოოდ 1845 წლის დასაწყისში დამთავრდა. სამწუხაროდ, იმავე წლის ივანობისთვეში ფარსადან ციციშვილი გარდაიცვალა. ქალაქის თვითმმართველობამ მისი სახელის უკვდავსაყოფად, მის მიერ გაჭრილ გზას „ციციანოვის აღმართი“ უწოდა. ამ სახელით იცნობდა ამ აღმართს ხალხი XX საუკუნის 60-იან წლებამდე. ჯერ მტკვარზე არსებული მეტად ლამაზი „მუხრანის ხიდი“ დაანგრიეს. ახლაშენებულ ხიდს ბარათაშვილის სახელი დაარქვეს. იქვე ახლოს ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი დადგეს და აღმართსაც ბარათაშვილის სახელი უწოდეს. ასე დაუფასა ამაგი ფარსადან ციციშვილს საბჭოთა ხელისუფლებამ.

ახლა ორიოდე სიტყვა „მუხრანის ხიდის“ დანგრევასთან დაკავშირებით. მაშინ მუხრანის ხიდის შესანარჩუნებლად ბევრი იბრძოლეს აკადემიკოსმა ვახტანგ ბერიძემ და სხვა მეცნიერებმა, მაგრამ ვერაფერს ვერ მიაღწიეს. მაშინდელმა პარტიის ცეკას ხელმძღვანელობამ აზრი არ გაითვალისწინა. შედეგი კი სახეზეა, დავკარგეთ თბილისისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ლამაზი ხიდი, რომელსაც მომავლი თაობა მხოლოდ ფოტოსურათების საშუალებით თუ გაეცნობა. არადა შეიძლებოდა იმ ისტორიული ხიდის შენარჩუნებაც და ახალი ხიდის აგებაც, რაც სამწუხაროდ არ გააკეთეს და გამოუსწორებელი დანაშაული ჩაიდინეს.

ვის ეპარება ეჭვი ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალობასა და განუმეორებლობაში, ალბათ არავის. მისი სახელი რომ უკვდავია და იგი საუკუნეებს შემორჩება, ესეც ცხადია, მაგრამ რატომ შეეწირა ამ საქმეს ფარსადან ციციშვილის სახელი, ეს გაუგებარია. თუ გვინდა ჭეშმარიტება ვაღიაროთ, ეს შეცდომა უნდა გასწორდეს. აღმართის დასაწყისში ფარსადან ციციშვილის მემორიალური დაფა უნდა გაკეთდეს და აღმართსაც მისი კუთვნილი სახელი დაუბრუნდეს. მერწმუნეთ, ეს ოდნავადაც ვერ მიაყენებს ჩრდილს დიდი პოეტის ნათელ ხსოვნას.

სხვათა შორის, ფარსადან ციციშვილს ეკუთვნის ერთი მოსწრებული გამოთქმა, რომელმაც ჩვენამდე იონა მეუნარგიას წყალობით მიაღწია. იგი კარგად ესადაგება დღევანდელ ჩვენს ცხოვრებას. XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ საქართველო გუბერნიებად და მაზრებად დაჰყო, პეტერბურგელ რევიზორს უკითხავს ფარსადან ციციშვილისთვის, როგორ მოგწონთ ეს „переобразование“-ო, ფარსადანი არ დაფიქრებულა და უთქვამს: „сначала нужно образование, а потом преобразование“.

**ასეთია მოკლედ ციციანოვის (ბარათაშვილის) აღმართის მოკლე ისტორია. სიტყვა ქალაქის საკრებულოს ეკუთვნის.**

**დურმიშხან ცინცაძე**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**კავკასიაში პოლიტიკურად აფორიაქებული თეატრის ფიცარნაგზე გამოჩნდა ახალი მოთამაშე. ეს ახალი მოთამაშეა – ღარიბი ჯუჯა კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში – ნაურუ, რომელიც სამშაბათს გახდა მეოთხე ქვეყანა, რომელმაც დაამყარა ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობა აფხაზეთთან და ამრიგად ფაქტობრივად აღიარა მისი სუვერენიტეტი. განცხადება ამის შესახებ გაჩნდა 15 თვის შემდეგ, რაც რუსეთმა დაიწყო ზემოქმედება თავის მოკავშირეებზე, რათა მათ აღიარონ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი – ორი სეპარატისტული ტერიტორია, რომლებიც 2008 წელს აღმოჩნდნენ საქართველოსთან ომის ეპიცენტრში.**

# აფხაზეთმა ნაურუსგან აღიარება მიიღო

წყნარ ოკეანეში განთავსებული ეს კლდოვანი კუნძული, რომლის ფართობია რვა კვადრატული მილი, მოსახლეობა კი შეადგენს 11 ათას კაცს, აღმოჩნდა, როგორც გავლენიანი რუსული გაზეთი „კომერსანტი“ იტყობინება, კერკეტი კაკალი. გაზეთის მონაცემებით, რომელიც მიუთითებს რუს დიპლომატზე, მოლაპარაკებაში ოფიციალურ წარმომადგენლებთან რუსეთიდან ნაურუს ხელისუფლებამ




მოითხოვა 50 მილიონი დოლარი „სასწრაფო სოციალური და ეკონომიკური პროექტების“ რეალიზაციისთვის.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა იგორ ლიაკინ-ფროლოვმა უარი განაცხადა ამ ცნობის კომენტირებაზე.

ნაურუ – ყველაზე პატარა რესპუბლიკაა მსოფლიოში, მას ძალიან სჭირდება შემოსავლები, ვინაიდან მისი მთავარი რესურსია ფოსფატები, რომელიც ასეული წლების განმავლობაში ყალიბდებოდა ფრინველის სკლინტისგან. მან თავისი შესაძლებლობები თითქმის უკვე ამოწურა. კუნძულის ხელისუფლება ცდილობდა მიეცა თავშესაფარი ავსტრალიიდან დევნილებისთვის. მათაც მილიონები დააბანდეს მიუზიკლში, რომლის სახელიცაა უესტ ენდი (ეს პროექტი სრული კრახით დამთავრდა).

ამას წინათ ნაურუს ხელისუფლება შეეცადა ჩართულიყო სერიოზულ საგარეო პოლიტიკურ თამაშებში. 2002 წელს მან გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ტაივანთან, რაც დაემთხვა ჩინეთის მხრიდან დაპირებას, მისცეს კუნძულოვან სახელმწიფოს 130 მილიონი დოლარი. სამი წლის შემდეგ კუნძულის ხელისუფლებამ კვლავ შეახსენა თავისი თავი, რამაც აიძულა ჩინეთის ოფიციალური წარმომადგენლები, ეჩივლათ იმის გამო, რომ კუნძულელები „დაინტერესებული არიან მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის მიღებაში“.

მიუხედავად ამისა, განწყობილება აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში სამშაბათს სადღესასწაულო იყო. აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა, რომ მისი კოლეგა ნაურუდან კირენ კეკე დაჰპირდა მიაღწიოს აფხაზეთის აღიარებას წყნარი ოკეანის სხვა კუნძულოვანი სახელმწიფოების მიერაც. ოფიციალურმა პირებმა ამჯობინეს არ გაეცათ პასუხები კუნძულის არსებით ეკონომიკასა და მოსახლეობის მცირერიცხოვნობაზე, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს არის გაეროს წევრი ქვეყანა, რომელსაც პატივს სცემენ.

„მე გამიმართლა ჩემს პროფესიულ კარიერაში, ვინაიდან შესაძლებლობა მქონდა, მომეწერა ხელი ხელშეკრულებისთვის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოსთან – რუსეთთან, დღეს კი ხელს ვაწერ ხელშეკრულებას ყველაზე პატარა სახელმწიფოსთან – ნაურუსთან“, – აღნიშნა ბატონმა შამბამ.

„ამ სიაში, – დაუმატა მან, – ჩვენ თავს ვგრძნობთ მოცულობით საშუალო ქვეყანად“.

უფრო ადრე აფხაზეთი, რომლის მოსახლეობაც 215 ათასი კაცია, აღიარეს რუსეთმა, ნიკარაგუამ და ვენესუელამ.

გაურკვეველი რჩება, გააკეთებს თუ არა ნაურუ ასეთსავე განცხადებას სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, რომელიც ბატონმა კეკემ მოინახულა გასული კვირის ბოლოს. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურატ ჯიოევმა კომენტარზე ამ საქმესთან დაკავშირებით უარი განაცხადა.

ცნობამ აფხაზეთის აღიარების შესახებ გამოიწვია სასაცილო გამოხმაურებათა მთელი ტალღა რუსეთის კომენტატორების მხრიდან. ზოგიერთმა მათგანმა იანგარიშა, თუ რა ღირს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ლობისტური მუშაობა სხვადასხვა ქვეყნებთან, რათა მათ აღიარონ ანკლავები. აი, ამ დაანგარიშებათა შედეგები: დაახლოებით 350 დოლარი ნაურუს ერთ სულ მოსახლეზე, 100 დოლარი – თითოეულ ვენესუელელზე, 200 დოლარი – ყოველ ბელარუსზე და ასე შემდეგ.

მაგრამ კავკასიის საკითხებში სპეციალისტმა მოსკოვის პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტიდან სერგეი მარკედონოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ხელშეკრულება არის აშკარა მიღწევა აფხაზებისთვის, რომლებიც აქტიურად ეძებენ მოკავშირეებს, რუსეთის გარდა. შეკითხვაზე ანაზღაურებასთან დაკავშირებით, მან ასე უპასუხა: „თუ არავინ გადაუხდიდა, რატომღა ჩამოვიდოდნენ?“

„აქ საერთოდ, საკითხი შეეხება მორალს, – აღნიშნა ბატონმა მარკედონოვმა. – ეს მსოფლიოში ყველაზე პატარა ქვეყანაა. მას არ გააჩნია არავითარი პოტენციალი გარდა იმისა, რომ დადოს გარიგებანი დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. დამოუკიდებლობა – ეს არის საქონელი და ხალხი ივაჭრებს ამ საქონლით“.

**The New York Times**

# ქართველები ყველა ქვეყნისა პეტერბურგში ერთიანდებიან

**რუსმა მეწარმემ ალექსანდრე ებრალიძემ, რომელმაც განაცხადა თავისი განზრახვის შესახებ – კენჭი იყაროს საქართველოს პრეზიდენტობაზე, ფაქტობრივად დაიწყო წინასარჩევნო კამპანია. სანქტ-პეტერბურგში მის ორგანიზაციაში გაიმართა საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის საერთაშორისო კონფერენცია. მისმა მონაწილეებმა განიხილეს სააკაშვილის რეჟიმი და აზრი გამოთქვეს „აქტიურ მოქმედებებზე გადასვლის“ შესახებ. თბილისში კონფერენციის ორგანიზატორებს ბრალი დასდეს „ნაციონალისტური და ანტისახელმწიფოებრივი მიზნების“ მიმდევრობაში.**



თებერვალში ავსტრიაში დარეგისტრირებული საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი გაიმართა ლოზუნგით „ვერთიანდებით!“ – მომხიბლავ კლუბში „ტალიონ შერემეტიევსკი დვორეც“, რომელიც ბატონ ებრალიძეს ეკუთვნის. „საქართველოს დემოკრატიზაციის“ საკითხების განსახილველად შეიკრიბა 67 კაცი – ქართული დიასპორების წარმომადგენლები რუსეთის 25 რეგიონიდან, აგრეთვე საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ბელარუსიდან, უკრაინიდან და სხვა ქვეყნებიდან. განსაკუთრებული სტუმრის სახით კონფერენციას ესწრებოდა რუსეთის სპორტული ბრძოლის ფედერაციის თავმჯდომარე მიხეილ მამიაშვილი.

ბატონი ებრალიძე აპირებდა ღონისძიებაში უფრო მეტი მონაწილის ჩართვას. პრესკონფერენციაზე მან აღიარა, რომ ყველა არ ჩამოსულა, თუმცა იქვე განაცხადა, რომ „გავა დრო და ჩამოვა ყველა“. ფორუმზე, კერძოდ, არ ყოფილან არც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის, არც რუსეთის ქართველთა კავშირის წარმომადგენლები.

კონფერენციის მონაწილეები არ გამორიცხავენ, რომ სანქტ-პეტერბურგში ჩამოსული ქართველები ასე რეაგირებდნენ საქართველოს დიასპორის საქმეთა მინისტრის იულონ გაგოშიძის სიტყვებზე, რომელმაც მოუწოდა თანამემამულეებს ბოიკოტი გამოუცხადონ კონფერენციას, ვინაიდან მასში მონაწილეობა, მისი სიტყვებით, „არის დამნაშავე ებრალიძის წახალისება საქართველოში თავისი კანდიდატურის პრეზიდენტის კანდიდატად წამოყენების შესახებ“ (საქართველოს ხელისუფლება მრავალგზის სდებდა ბრალს ბატონ ებრალიძეს ანტისამთავრობო მოღვაწეობაში).

ისინი კი, ვინც ჩამოვიდა კონფერენციაზე, ერთი ხმით საუბრობდნენ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის ადმინისტრაციას ქვეყანა მიჰყავს უფსკრულისკენ და, რომ ახლა საჭიროა ლიდერი, ვინც გააერთიანებდა ქართველებს, ვინაიდან, კრასნოდარის მხარის ქართული სათემოს ხელმძღვანელის მინდია გულუას სიტყვებით, „ქართველები დაიღალნენ მხოლოდ სიმღერებითა და ცეკვებით და მზად არიან გადავიდნენ აქტიურ მოქმედებებზე“.

ღონისძიების ორგანიზატორმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი განზრახვა – კენჭი იყაროს პრეზიდენტად: „გადაწყვეტილება მიღებულია და მე წავალ ამ გზაზე ბოლომდე, – განაცხადა ბატონმა ებრალიძემ. – მაგრამ თქვენი მხარდაჭერის გარეშე ეს იქნებოდა თვითმკვლელობა, თქვენი მხარდაჭერით კი – გამარჯვება“. მორიგ ნაბიჯებად მან დაასახელა აპრილში სანქტ-პეტერბურგში საქართველოს ხალხთა დიასპორების მსოფლიო ფორუმის ორგანიზაცია, რომელმაც გაფართოებული ფორმატით უნდა შეიმუშაოს „ქვეყნის დემოკრატიული რეფორმების განხორციელებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთიანი პოზიცია“, აგრეთვე დაასახელოს ეროვნული ლიდერი საქართველოს პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში მონაწილეობისთვის.

კონფერენციის ორგანიზატორებმა იზრუნეს იმისთვის, რომ ინფორმაცია ფორუმის შესახებ მოხვედრილიყო საქართველოში. ფორუმს ესწრებოდა „რუსთავი-2“-ის გადამღები ჯგუფი და „იმედის“ ოპერატორი, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ უსათუოდ გადასცემდნენ სურათს „მაესტროს“ ტელეარხით და საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით.

**კონსტანტინ ანდრიანოვი**

**Коммерсантъ**



*ს.ბერლუსკონი, იტალიის პრემიერ-მინისტრი: „მე არ დავესწრები ღონისძიებას (15 დეკემბერს აღინიშნება ფეხბურთის კლუბ „მილანის“ 110 წლისთავი. იგი ბერლუსკონის ეკუთვნის. – რედ.), მაგრამ იგი უნდა შედგეს“.*

*გამოუცხადებლობის გამო პრემიერ-მინისტრი აუცილებლად აწყენინებს ბევრ თავის თანამოქალაქეს. ბოსის დანახვა დამტვრეული ფიზიონომიით (ბერლუსკონის მიტინგის დროს თავს დაესხა ფსიქოპათი, რომელმაც მას ცხვირი გაუტეხა) ვიღაცისთვის სასიამოვნო იქნება უფრო მეტად, ვიდრე ოლიმპიური კლუბის გამარჯვებაზე თვალყურის დევნება! ვინმეს კი შეიძლება შეეცოდოს იგი და მოეფეროს მილანურად.*

## დედამიწის ზურგზე




**ისრაელის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა დაუჯერეს ყვითელ პრესას კაბაევას ვაჟიშვილის შეძენასთან დაკავშირებით პუტინისგან**

ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მხატვრულ ტანვარჯიშში ოლიმპიური ჩემპიონის, სახელმწიფო დუმის დეპუტატის ალინა კაბაევას ვაჟიშვილის გაჩენიდან ნახევარი წლის შემდეგ გადაწყვიტეს გაარკვიონ მისი დაბადების საიდუმლო. განხილვაში ჩაერთვნენ ისრაელის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, თუმცა ახალი ამბავი იმის შესახებ, რომ კაბაევამ შვილი გააჩინა პრემიერისგან, გამოქვეყნდა მხოლოდ ყვითელ პრესაში.

* * *

**2050 წლისთვის თეთრკანიანები აშშ-ში უმცირესობაში იქნებიან**

მაგრამ ეს მოხდება 8 წლით უფრო გვიან, ვიდრე ადრე ამას ვარაუდობდნენ. ამ თარიღის უფრო შორეულ მომავალში გადაწევას ხელს შეუწყობს იმიგრაციის შემცირება და სირთულეები კრიზისიდან გამოსვლაში. უმრავლესობის შენარჩუნება თეთრკანიანებს შეუძლიათ მხოლოდ იმიგრაციის სრული შეწყვეტის შედეგად.

* * *



**ვენესუელაში გადაბრუნდა ავტობუსი: 12 დაიღუპა, 52 დაიჭრა**

ავტობუსი დიდი სიჩქარით შეიჭრა სავალ გზაზე, გადაბრუნდა და უფსკრულში ჩავარდა. თავდაპირველი ვერსია მისი სიტყვებით, ავტომაქანასთან შეჯახების შესახებ არ დადასტურდა. ზოგიერთი მგზავრის მდგომარეობა მძიმეა, დაღუპულთა რაოდენობა „შეიძლება გაიზარდოს“.

* * *

**აშშ-მ დააჯარიმა შვეიცარიის ბანკი ირანთან დაკავშირებული სანქციის დარღვევისთვის, აგრეთვე 5 ქვეყნის ბანკები**

ბანკი „კრედიტ სუისი“ კომპენსაციის სახით ამერიკული კანონების დარღვევისთვის გადაიხდის 536 მილიონ დოლარს. იუსტიციის სამინისტროში „დიდად აღშფოთებული არიან“ ევროპელი ფინანსისტების მოქმედების გამო: ისინი აწარმოებდნენ საკრედიტო აქციებს „მალულად“. ხელისუფლება ეჭვობს, რომ ბანკი გვერდს უვლიდა ეკონომიკური სანქციების რეჟიმს ჯერ კიდევ 1986 წელს.

* * *

**ვაშინგტონს უკვე აღარ აქვს იმედი, დადოს მოსკოვთან შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ წლის ბოლომდე**

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის სიტყვებით, რომელმაც გვთხოვა არ ვახსენოთ მისი სახელი პრესაში, ამერიკის მხარე ამჟამად ითვალისწინებს, რომ მოლაპარაკება ახალი ხელშეკრულების მომზადების შესახებ, რომელიც ჟენევაში მიმდინარეობს, „სერიოზულად განახლდება კვირის ბოლოს და ტექსტი შეიძლება მიღებულ იქნეს შობამდე, შემდეგ კი მოლაპარაკება შეწყდება დღესასწაულებთან დაკავშირებით და განახლდება იანვარში“.

კონფლიქტის ზონა

# სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი...

**ეს დღეებია, აფხაზები ტოვებენ თავიანთ სახლებს, ეზო კარ-მიდამოს და ოჯახებით საცხოვრებლად ზუგდიდსა და თბილისში გადმოდიან. ადმინისტრაციულ საზღვარზე გადმოსვლა იოლი საქმე არ არის — ხშირად განსაცდელშიც კი იგდებენ თავს, მაგრამ სიძნელეებს არ ეპუებიან. მათი თქმით, ცხოვრება აფხაზეთში გაუსაძლისი გახდა. სეპარატისტების დაპირებებს „ბედნიერ მომავალზე" ბოლო არ უჩანს. სამაგიეროდ, კარგად მოუჩანს ბოლო აფხაზების არამკითხე მეურვე — რუსი ოკუპანტების აშკარა ზრახვებს — საბოლოოდ დაითავისონ ეს ძირძველი ქართული მიწა.**

ახლა ცხინვალში რაღა ხდება? მიმდინარეობს ქართული მიწების „ლუჟკოვიზაცია". მოსკოვის მერი ქართულ ნასოფლარებზე ახალ საცხოვრებელ კვარტალებს აშენებს — მომავალში აქ რუსი სამხედროები იცხოვრებენ, ჩამოიყვანენ თავიანთ ოჯახებს ვორკუტიდან, ხაბაროვსკიდან, კურილიის კუნძულებიდან, გაჰკვირდებიან: ეს რა ზღაპრული ქვეყანა ჰქონიათ ქართველებს, ვინ მისცათ, რა უფლებითო. აქ მხოლოდ რუსებმა უნდა იცხოვრონ, ყოველგვარი ქართული უნდა მოიკვეთოს და ამოიძირკვოს. ეს საქმე მინდობილი აქვთ ოს მარადიორებს. „ისინიც მონდომებას არ აკლებენ, — მიამბობდა ამ დღეებში ჩემი ცხინვალელი მეგობარი. — ძარცვავენ სოფლის სასაფლაოებს, არავინ იცის, სად მიაქვთ ქართულწარწერიანი სამარის ქვები და მარმარილოს ფილები. ზოგი ამბობს, თავიანთი მშენებარე საცხოვრებელი სახლების საძირკვლად ხმარობენო, ზოგიც — მიწაში მალავენო.

მაგრამ როგორ ამოძირკვავ გულიდან იმ სიყვარულს, სამშობლოს გრძნობა რომ ჰქვია?!

პატარა ამბავს გიამბობთ. გორში ორი საყმაწვილო გაზეთი გამოდის — „ყაყაჩო" და „უფლისციხე". ახალგაზრდა პოეტი და ჟურნალისტი დავით ახლოური უნარიანად ეწევა რედაქტორისა და გამომცემლის ჭაპანს. საყმაწვილო გაზეთების გეოგრაფია თუმცა შიდა ქართლის მხარეა, მკითხველები მას მთელი საქართველოდან წერენ — უგზავნიან თავიანთ ლექსებს, მოთხრობებს, ნახატებს, სიყვარულით გამთბარ სტრიქონებს თავიანთ მასწავლებლებზე, თანაკლასელებზე. ამას წინათ „ყაყაჩოს" რედაქციაში ჩრდილოეთ ოსეთიდან ბარათი მიიღეს — ვლადიკავკაზელი მოსწავლე ანა ძილიხოვა იწერებოდა, როგორ ცხოვრობს და საქმიანობს ცხინვალიდან დევნილი მისი ოჯახი, რომელიც ვლადიკავკაზს შეეხიზნა. ანა ქართულ სკოლაში სწავლობს (დიახ, ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში! ცხინვალის ქართული სკოლები ოცი წლის წინათ ქართულ სიტყვასთან ერთად დაარბიეს და იავარქმნეს), იგი მეოთხეკლასელი წარჩინებული მოსწავლეა. წერს ლექსებს და, როგორც თავად ამბობს, ყოველთვის სამშობლოს უმღერის. სამშობლო კი ერთი აქვს — საქართველო.

აი, „ყაყაჩოს" რედაქციაში გამოგზავნილი ანას ერთი ლექსი:

**შენთვის ვმღერი ჩემო მხარევ,**
**ჩემო კარგო საქართველო,**
**მინდა შენი მთა და ბარი**
**სიყვარულით ვადღეგრძელო.**
**მომენატრე, შენთვის ვმღერი,**
**უძველესთა შორის ძველი,**
**ამდენ ტკივილს რომ გაუძელ,**
**როგორ, ჩემო საქართველო?!**

აი, ეს არის სამშობლოს გრძნობა, პოეტი რომ გასაკვირველს უწოდებს.

**გურამ ვაშაკიძე**

ექიმი გვირჩევს

# ღვიძლისა და დიაბეტის მკურნალობის საუკეთესო მეთოდი

**დიდი ხანია ინდოეთსა და იაპონიაში სხვადასხვა დაავადებებს მკურნალობენ ტიბეტში გამოყვანილი სპეციალური სოკოთი, რომელიც ცნობილია „ინდური იოგების სოკოს" სახელწოდებით. იგი დიდხანს რჩებოდა მათი მედიცინის საიდუმლოდ.** ეს სამკურნალო სოკო ევროპაში შემოიტანა ჰოლანდიელმა პროფესორმა, რომელიც დაავადებული იყო ავთვისებიანი სიმსივნით და 5 წლის მკურნალობის შემდეგ სრულიად განიკურნა ამ სასწაულმოქმედი სოკოს რძიანი ნაყენით. ინდოეთიდან გამომგზავრებისას მან საჩუქრად მიიღო ეს სოკო, რომელიც წარმოადგენს თეთრი ფერის სხეულს და ყვავილოვან კომბოსტოს წააგავს. დასაწყისში 5-6 მმ დიამეტრისაა, ხოლო შემდეგ, გაყოფის წინ, 40-50 მმ-საც კი აღწევს.



ტიბეტური სოკო შაქრიანი და უშაქრო დიაბეტის მკურნალობის საუკეთესო მეთოდია. იგი არეგულირებს ნახშირწყლების ცვლას ორგანიზმში; გარდა ამისა, აჩერებს კიბოს უჯრედების ზრდას, კურნავს კუჭ-ნაწლავის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ყველა დაავადებას, მათ შორის ღვიძლის ციროზს, ასუფთავებს ორგანიზმს მავნე რადიკალებისაგან, შლაკებისაგან, მარილებისაგან, აღადგენს სახსრების ფუნქციას, ამაღლებს ტონუსს და ორგანიზმის შინაგან რეზერვებს, აუმჯობესებს მეხსიერებას და მხედველობას, წარმატებით კურნავს ასევე ფილტვებს, ბრონქებს, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებას. აახალგაზრდავებს ორგანიზმს და მთლიანად კანის საფარველს, გამოაქვს ნიკოტინი და სხვა შხამები ორგანიზმიდან.

ამ სოკოს ამრავლებენ იაპონიაში ყველა ოჯახში და შედეგად იაპონელები მსოფლიოში ყველაზე ჯანმრთელი ერია. ჩვენ გვაქვს ეს საოცარი სოკო და ვამრავლებთ მას, რათა ჩვენი მოსახლეობა იყოს ჯანმრთელი და დღეგრძელი.

კარგი იქნება თუ თბილისში და სხვადასხვა რეგიონში გაიხსნება ტიბეტური სოკოთი მკურნალობის ცენტრები, თუ ამ საქმეში ჩაერთვებიან ბიოლოგები, ქიმიკოსები და ყველა დაინტერესებული პირი, ჯანდაცვის ორგანოები, ბიზნესმენები და ა. შ., ვისთვისაც ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა უმნიშვნელოვანესი და საპატიო საქმეა.

**მამია მდინარაძე,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი**

წლები



***გამორჩენილი ქართველი ეთნოლოგისა და კავკასიოლოგის, პროფესორ რუსუდან ხარაძის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა. ეს ის სწავლული გახლდათ, ვინც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას — ქართველ და კავკასიელ მთიელთა სოციალური ყოფის ტრადიციული ფორმების ეთნოგრაფიულ შესწავლას; ვინც ესოდენ წარმატებით იკვლევდა წინაკლასობრივი ინსტიტუტების გადმონაშთების, საოჯახო თემის, სოფლის თემის, გვარის სტრუქტურის, საქორწინო ურთიერთობის ნორმების, ნათესაობის სისტემის, ხალხური მმართველობის ფორმების, ჩვეულებითი სამართლისა და კიდევ სხვა პრობლემებს.***

# საუკუნიანი დაუვიწყარობა

რუსუდან ხარაძე ხარაგაულის რაიონის სოფელ ფარცხნალში დაიბადა, პედაგოგის ოჯახში — იმ სოფელში, რომლის მადლიანმა მიწა-წყალმა არაერთ სასიქადულო ერისშვილს აწოვა ძუძუ; თბილისის გიმნაზიის (ყოფილი წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის) დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, სადაც ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, დიმიტრი უზნაძის, შალვა ნუცუბიძის, აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას ლექციების მოსმენის ბედნიერება ჰქონდა; რასაკვირველია, ამ გარემოებამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქალბატონ რუსუდანის მაღალი ინტელექტის, განსწავლულობის, კულტურის ფორმირებაში.

დოქტორანტურის კურსი რუსუდან ხარაძემ მოსკოვში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში გაიარა, სადაც 1955 წელს ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „ქართული საოჯახო თემი"; აქვე სათქმელად, ის გახდა პირველი დოქტორი-ეთნოლოგი ქალი საქართველოში.

სადოქტორო შრომიდან შემდგომ იშვა იმავე სახელწოდების ფუნდამენტური ორტომეული, სადაც სამეურნეო მაჩვენებლებისა და რეგიონების მიხედვით მოხდენილა საოჯახო თემის კლისიფიკაცია სამ ტიპად: პირველი — როცა წამყვანია მიწათმოქმედება (ქართლ-კახეთი, იმერეთი, ზემო და ქვემო რაჭა); მეორე — როცა მესაქონლეობაა წამყვანი დარგი (ქიზიყი, თუშეთი, ხევი, ფშავი); მესამე — თემი სიმბიოზური მეურნეობის (მთიანი რაჭა, სვანეთი).

ასევე საგანგებო ყურადღებას იმსახურებენ მონოგრაფიები „დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში", „სვანეთის სოფელი" (თანაავტორი ალექსი რობაქიძე), „მთიულეთის სოფელი ძველად" (კვლავ ალექსი რობაქიძესთან ერთად); რომ აღარაფერი ვთქვათ ქართულ და უცხო ენებზე გამოქვეყნებულ ათეულობით სამეცნიერო სტატიაზე.

ეთნოგრაფია პროფესორ რუსუდან ხარაძის ცხოვრების თანამგზავრი და განუყოფელი, ორგანული ნაწილი იყო. ამქვეყნიურ მოვალეობად თუ მოწოდებად მას დარგის თავდაუზოგავი სამსახური და უსაზღვრო სიყვარული მიაჩნდა. ქალბატონ რუსუდანში გამოკვეთილი გახლდათ ეთნოგრაფის მეექვსე გრძნობა — მთხრობელის შერჩევა, ალაპარაკების უნარი, შესაბამის კალაპოტში საუბრის წარმართვა... კონკრეტული მასალის ღრმა ცოდნა, განაალიზების ხალასი ნიჭი ქალბატონ რუსუდანს იშვიათი ეთნოგრაფიული ფენომენების მიკვლევის შესაძლებლობას აძლევდა...

ველზე ის გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი დისციპლინითა და მკაცრი სამუშაო რეჟიმის დაცვით. რუსუდან ხარაძესთან ერთად ექსპედიციებში მონაწილეობა იყო ცხოვრების, შემოქმედებითი ზეობის უმაღლესი სკოლა...

ქალბატონი რუსუდან ხარაძე დაუვიწყარია შესანიშნავი გარეგნობით, ქალურობით, სინაზით, სანიმუშო კულტურით, ინტელექტითა თუ სულიერი თვისებებით, ღრმა განსწავლულობით, დიდი პრინციპულობით, გამოკვეთილი ინდივიდუალობით, საოცარი პიროვნული ხიბლითა და შინაგანი პატიოსნებით. რა ბუნებრივია, რომ იგი ყველასგან მოწიწებით დამოკიდებულებასა და თაყვანისცემას იმსახურებდა, და რა დასანანია, რომ ულმობელმა სენმა ნაადრევად, 56 წლის ასაკში (1965-ში) დაუსვა წერტილი ეთნოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი უშესანიშნავესი მკვლევარის სიცოცხლეს...

**ნანული ჯავახაძე,**
**მეცნიერების დოქტორი**

***მინაწერი:** ხარაგაულის ეროვნულ პარკში გაიმართა ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის ერთობლივი გამსვლელი სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ამ წარმტაცი კუთხის საამაყო შვილის იუბილესადმი. აქვე მოეწყო იუბილარის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული გამოფენა. გულისხმიერმა მასპინძლებმა თბილისელ სტუმრებს რუსუდან ხარაძის მშობლიური სოფელი ფარცხნალიც მოანახულებინეს. სახლს, სადაც ქალბატონი რუსუდანი და მისი დაი, თვალსაჩინო მკვლევარი ბოტანიკოსი ანა ხარაძე დაიბადნენ, მემორიალური დაფა გაუკეთდა.*

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზი მერამდენედ ხდება სახელოვან სწავლულთა სამახსოვრო თარიღების აღნიშვნის ადგილი. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრმა, ექვთიმე თაყაიშვილის საისტორიო საზოგადოებამ და კავკასიის ხალხთა საერთაშორისო კვლევითმა ინსტიტუტმა მორიგი შეკრება სწორედ პროფესორ რუსუდან ხარაძის დაბადების ას წლისთავს მიუძღვნეს.*

ინფორმაცია

## ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს სახელფასო დავალიანებას არ აძლევენ

**თელავის სამხედრო ნაწილის, ავიაციის პოლკის, ავიაციის სკოლისა და სახმელეთო პოლკის 200-მდე ყოფილი თანამშრომელი თავდაცვის სამინისტროსგან 1999-2000 წლების სახელფასო, სანივთე და კვების დავალიანების გადახდას ითხოვს.**

**როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის" თელავის რაიონული ორგანიზაციიდან აცნობეს, სამხედრო ნაწილის ყოფილი თანამშრომლები თავდაცვის სამინისტროსგან კუთვნილი ხელფასების გადახდას 9 წელია უშედეგოდ ითხოვენ.**

**— ბევრი მათგანის ოჯახი შიმშილის ზღვარზეა. ყოფილი სამხედროების თქმით, თავდაცვის სამინისტრომ საქართველოს სხვა სამხედრო ნაწილებს დავალიანება უკვე გაუსტუმრა. ამ ადამიანებს კი მხოლოდ დაპირებებს აძლევენ, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენ მივმართავთ თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს პრეზიდენტს, რომ სათანადოდ დააფასონ ამ ადამიანების დამსახურება ქვეყნისა და ერის წინაშე და დროულად დაფარონ ის დავალიანება, რომელიც სახელმწიფოს მათ წინაშე აქვს, — განაცხადა „ქრისტია-დემოკრატიული" მოძრაობის თელავის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ნიკა ლაშხმა.**

**ამ საკითხზე თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში კომენტარი არ გააკეთეს.**

## წიგნებს სკოლის სარდაფში ალპობენ

**სიღნაღის ბიბლიოთეკის კუთვნილი 40 ათასამდე წიგნი სკოლის სარდაფში ლპება. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელოვნებო და საგანმანათლებლო ცენტრში განუცხადეს, ქალაქში ბიბლიოთეკის განსათავსებლად საჭირო ფართი არ არის.**

**ამავე ცენტრის ინფორმაციით, უსახსრობის გამო, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვერც წიგნების დასაბინავებლად საკმარისი თანხები გამოიყო.**

**სიღნაღში ბიბლიოთეკა 2007 წლის მარტიდან აღარ ფუნქციონირებს. ქალაქის რეაბილიტაციის დროს, ბიბლიოთეკის შენობა ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ კომპანია „კოკა-კოლაზე" გაასხვისა და იქ სასტუმრო განთავსდა. სიღნაღის რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკის კუთვნილი 70-ათასამდე წიგნი 1200-მდე ტომარაში მოათავსეს და პირველი საჯარო სკოლის სარდაფში ჩაყარეს. 2009 წლის გაზაფხულზე, ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომლების აქტიურობის შედეგად, გამგეობის წარმომადგენლებმა 30 ათასი წიგნი სარდაფიდან გაიტანეს, დანარჩენი 40 ათასი წიგნი კი ისევ ნესტიან სარდაფში ყრია და ლპება.**

ხი-ეიხ-ენი

◎ სუპერთასი



## ამჯერად „ვიტ ჯორჯია“

**საქართველოს ორგზის ჩემპიონმა თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ გუშინ პირველად მოიპოვა ქვეყნის სუპერთასი.**

მეცხრე გათამაშების გადამწყვეტი მატჩი ვეტერინარებმა რუსთავის განახლებულ სტადიონზე პრესტიჟული ჯილდოს ხუთგზის მფლობელს დედაქალაქის „დინამოს- დამატებით დროში მოუგეს — 2:1 (ძირითადი დრო — 1:1ძ. გამარჯვებულთაგან გოლები დათუნაიშვილმა (მე-10 წუთზეძ და ვასაძემ (119-ე წუთზეძ გაიტანეს, ხოლო „თეთრ-ლურჯთაგან“ — თომაშვილმა (55-ე წუთზეძ.

შეგახსენებთ, რომ გელა გომელაურის გუნდმა ასევე დამატებით დროში მიაღწია წარმატებას „ზესტაფონთან“ ამასწინანდელ ორრაუნდიან სათასო დუელში — 0:3 და 4:0, ოღონდ მაშინ გადამწყვეტი ბურთი ყვირილასპირელებს 117-ე წუთზე გაუტანა.

◎ ფეხბურთი

# ხვალ ფინალია

**არაბეთის გაერთიანებული საამიროების დედაქალაქ აბუდაბიში მიმდინარე მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის ფინალში ის გუნდები გავიდნენ, ვისაც ყველანი უწინასწარმეტყველებდნენ წარმატებას.**

ესენი არიან არგენტინის „ესტუდიანტესი“ და კატალონიის „ბარსელონა“. წინა ეტაპზე სამხრეთამერიკელებმა 2:1 სძლიეს სამხრეთ კორეის „სტილერსს“, ხოლო ევროპელებმა მექსიკური „ატლანტეს“ წინაღობა გადალახეს — 3:1.

აღსანიშნავია, რომ გათამაშების უმთავრესი ფავორიტი მე-5 წუთიდან აგებდა მატჩს — 0:1 (როხასიძ, მაგრამ მინდორზე მესის გამოსვლის შემდეგ პირწმინდად დაჯაბნა მეტოქე — 3:1 (ბუსკეტსი, მესი, პედროძ.

გადამწყვეტი ბრძოლა ხვალ გაიმართება.



◎ სეზონის შემდეგ

**ახლო წარსულში, სულ უფრო ხშირად საამურ დროს რომ უწოდებენ, საკავშირო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, მრავალთა შორის, „პროგრესის პრიზიც“ თამაშდებოდა. ეს ტრადიცია რომ შეგვენარჩუნებინა, საპატიო ჯილდო, ახლახან დამთავრებული სეზონის შედეგების მიხედვით, ცხინვალის „სპარტაკის“ ნადავლი გახდებოდა. გუნდი, რომელმაც შარშანდელ ეროვნულ ჩემპიონატში ბოლოსწინა ადგილი დაიკავა, წლევანდელის I ეტაპის შემდეგ მეხუთე პოზიციამდე აღზევდა და, რაც მთავარია, დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა, სადაც თბილისის „დინამოს“ შეხვდება.**



## მიზანი თასი და ევროპა

**— რას მივაწეროთ ასეთი პროგრესი? — ვეკითხებით კლუბის მენეჯერსა და დირექტორატის წევრს ჯემალ ჭიპაშვილს.**

— აღნიშნული სასიკეთო მეტამორფოზა კომპლექსურად არის განსახილველი, მაგრამ, თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით, უპირველესი მაინც ფინანსებია. თუმცა, ალბათ, არც კლუბის რამდენიმე დამფუძნებელი ფიზიკური პირის გულუხვობა იქნებოდა საკმარისი, რომ არა სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბატონ დიმიტრი სანაკოევის ძალისხმევა და თანადგომა. გადატვირთული ყოველდღიური გრაფიკის მიუხედავად, „ივანიჩი“ ყოველთვის იქ გამოჩნდება ხოლმე, სადაც გუნდია, იქნება ეს ვარჯიში, კალენდარული მატჩი თუ თავისუფალი დრო.

**— ინფრასტრუქტურაზე რას გვეტყვით?**

— შარშანდელ ომამდე კლუბის ადმინისტრაცია სოფელ ქურთაში იყო განთავსებული და ბიჭებიც იქვე ვარჯიშობდნენ, ხოლო საშინაო შეხვედრებს რამდენიმე კილომეტრში, გორის „ქართლის“ სტადიონზე მართავდნენ. იმ პერიოდში თამაშებს მრავალი ოსი გულშემატკივარი ესწრებოდა. ისინი განსაკუთრებულად თავიანთ თანამემამულეებს ქომაგობდნენ, რომლებიც სარეზერვო გუნდში ისტატდებოდნენ და უკვე ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაზე აცხადებდნენ პრეტენზიას. საკითხი იქამდე იყო მომწიფებული, რომ აქტიურად განიხილებოდა ცხინვალის „სპარტაკის“ სტადიონის რეკონსტრუქციისა და იქ დაბრუნების პერსპექტივა. სამწუხაროდ, აგვისტოს მოვლენებმა აღნიშნული ოცნების ხორცშესხმა განუსაზღვრელი ვადით გადადო.

**— ბუნებრივია, ამანაც განაპირობა შარშანდელი ფიასკო.**

— რასაკვირველია. ფეხბურთისთვის აღარავის ეცალა და ლტოლვილთა გუნდს მეორედ მოუწია დევნილობასთან შეგუება. გარდა ამისა, ზემოხსენებულის ფეხბურთელთა უმეტესობამ გუნდი დატოვა. ცხადია, ისევ დაისვა დისლოკაციის ახალი ადგილის მოძიებისა და შემადგენლობის დაკომპლექტება- გაძლიერების საკითხები. ვიდრე დროებით დილომში, „ოლიმპიკის“ საფეხბურთო სკოლას შევაფარებდით თავს და მეტ-ნაკლებად კვალიფიციურ მოთამაშეებს დავიმატებდით, სეზონიც მიილია...

**— მოდით, წლევანდელ წარმატებებს დავუბრუნდეთ. მით უმეტეს, სათქმელი, ვფიქრობთ, კიდევ ბევრი გექნებათ. მაინც, რაშია საიდუმლო?**

— მართალი ბრძანდებით. ასეთი წინსვლა მნიშვნელოვანწილად კლუბის ვიცე-პრეზიდენტად ეროვნული ნაკრების დაცვის ყოფილი ბურჯის მურთაზ შელიას მოწვევას უკავშირდება. მისმა ავტორიტეტმა და გავლენამ საშუალება მოგვცა სრულფასოვანი შემსრულებლებით მოვლონიერებულიყავით. დაუმატეთ ამას გამოცდილი მთავარი მწვრთნელის ვლადიმერ ხაჩიძის ფაქტორი და თქვენს კითხვაზე ამომწურავ პასუხსაც მიიღებთ.

**— დაბოლოს, ორიოდე სიტყვა პერსპექტივაზეც გვითხარით.**

— მალე მოსამზადებელ შეკრებაზე გავემგზავრებით კვიპროსზე ან ანტალიაში. რაც შეეხება მიზანს, ესაა ეროვნული თასის მოპოვება და ევროპული ტურნირის დაჭაშნიკება. სხვათა შორის, ასეთივე სახელწოდების ამბიციური გუნდის შექმნა კოკოითსაც აქვს ამოჭრილი გულში და საამისოდ მისმა ჩრდილოელმა პატრონებმა ოლიგარქ რომან აბრამოვიჩის მილიონებიც აამოქმედეს. მათ და ფართო საზოგადოებრიობის გასაგონად ვაცხადებ, რომ ფიფა-უეფაში ჩვენი კლუბია რეგისტრირებული. ეს ყველამ გაითვალისწინოს — მტერმაც და მოყვარემაც.

ესაუბრა
**გია პლატონიშვილი**

◎ ინტერნეტიდან

## სირბილით სამხრეთ პოლუსისკენ

**მეხუთე ანტარქტიკულ საერთაშორისო მარათონში გაიმარჯვა 33 წლის ამერიკელმა ჯეისონ ვულფმა. მან მარათონული ტრასა (42 კმ და 195 მეტრიძ გაირბინა 4 საათს, 46 წუთსა და 50 წამში მაშინ, როდესაც ტემპერატურა ცელსიუსით მინუს რვა გრადუსი იყო. 12 წუთის დაგვიანებით ფინიშთან მივიდა ბელგიელი მარკ დე კაიზერი. მარათონში მონაწილე 3 ქალიდან იპირველა ავსტრალიელმა რიშელ ტერნერმა. მისი დრო 6 საათი, 23 წუთი და 34 წამია.**

იმავე დღეს გაიმართა სუპერმარათონიც — 100 კმ. გაიმარჯვა ირლანდიელმა რიჩარდ დონოვანმა — ამ შეჯიბრების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და დირექტორმა. ის, გადაუსწრო რა ორ მეტოქეს, ფინიშთან 16 საათში, 39 წუთსა და 57 წამში მივიდა. პირველი 42 კილომეტრი მან 14-გრადუსიან ყინვაში გაირბინა.

ახლანდელ მარათონში 20 „თავგადასავლების მაძიებელი“ მონაწილეობდა. თითოეულმა 17-ათასი დოლარი გადაიხადა. მონაწილეთა შორის ყველაზე მეტნი ამერიკელები და ავსტრალიელები იყვნენ — ოთხ-ოთხი, სამი ბრიტანელი და ორიც ბრაზილიელი. ისიც საგულისხმოა, რომ მარათონის ტრასის გასწვრივ განედებზე გულშემატკივრები კი არა, პინგვინებიც კი არ ცხოვრობენ.



ჯერჯერობით მარათონში სარეკორდოდ ითვლება 2008 წლის დეკემბერში ბრიტანელი მაილ კადმორის მიერ ნაჩვენები დრო-4 საათი, 36 წუთი და 53 წამი.

## კარლსენი — მსოფლიოში პირველი



**ლონდონში დამთავრდა მე-19 კატეგორიის საჭადრაკო სუპერტურნირი. ფეხბურთის წესებით მიმდინარე ამ ტურნირზე გამარჯვება 3 ქულას უდრიდა, ყაიმი — 1 ქულას, წაგება — ნულს.**

გაიმარჯვა 19 წლის ნორვეგიელმა დიდოსტატმა მაგნუს კარლსენმა — 13 ქულა, მეორე ადგილზე 12 ქულით რუსეთელი ვლადიმერ კრამნიკია, შემდეგ მოდიან ინგლისელები ადამსი და ჰაუელი — 9 ქულა, მაკშეინი — 7 ქულა, ნიკამურა (აშშძ და ნი ჰუა (ჩინეთიძ — 6, შ ორტი (ინგლისიძ — 5 ქულა.

## რონალდუს სკოლარი მოენატრა

**როგორც უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაციაზე დაყრდნობით გაზეთები აცხადებენ, პორტუგალიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ახალი შენაძენი ნახევარმცველი კრიშტიანუ რონალდუ უზბეკეთში გამართავს მასტერ-კლასს ნორჩი ფეხბურთელებისთვის. ამაზე ტაშკენტის ქუჩებში მრავალი ბილბორდიც იტყობინება.**

შარშანდელ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს ტაშკენტში 22 დეკემბერს მოელიან. პრესის ცნობით, ტაშკენტის კლუბის „ბუნედკორის“ მთავარი მწვრთნელი ლუის ფელიპე სკოლარი და პლანეტის ყველაზე ძვირი ფეხბურთელი გამართავენ ერთობლივ პრესკონფერენციას.



არ იტყობინებიან, თუ კონკრეტულად ვინ მიიწვია ტაშკენტში რონალდუ. თუმცა ისიც მისახვედრია, რომ რონალდუს ძალზე გულთბილი შეხვედრა ექნება ცნობილ მწვრთნელთან, რომლის ხელმძღვანელობითაც 4 წელი თამაშობდა პორტუგალიის ნაკრებში.

## ლამაზმანი შიდსს ებრძვის

**თავისი დიდებული მკერდით გახდა ცნობილი შვედი მსახიობი, მოდელი და ყოფილი სპორტსმენი ვიქტორია სილვესტედი. ახლახანს კი თავისი ფორმებით გადარია საქველმოქმედო საღამოს მონაწილენი, რომლის მიზანი იყო შიდსთან საბრძოლველად სახსრების მოძიება.**

მან ამ საღამოსთვის აირჩია ძვირფასი კაბა ღრმა დეკოლტეთი, მისი საშუალებით ყოფილი მოთხილამურის მკვეთრი მოძრაობისას ბევრი რამის დანახვა შეიძლებოდა. როგორც ჩანს, სწორედ ეს ეხმარებოდა ფულის შეგროვებაშიც.



როდესაც ლამაზმანი საღამოს მონაწილეებთან მიდიოდა, ისინი ფულზე უარს ვერ ეუბნებოდნენ 35 წლის ვიქტორიას, რომელიც ერთ დროს ჟურნალ „პლეიბოის“ სახეც იყო.

ტესტი

# რამდენი წლის ბრძანდებით?

**„სულიერად უკვე დედაბერი ვარ“, „ჩემი შინაგანი მდგომარეობა გაცილებით უფრო ახალგაზრდაა ბიოლოგიურ ასაკზე“. მოგისმენიათ ასეთი რამეები? მართლაც, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ასაკი შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. მოდით, დავიანგარიშოთ, რამდენად ახალგაზრდა ხართ სულიერად.**

1. თქვენი სიჭაბუკის დროს ახალგაზრდობა უკეთესი იყო, ვიდრე დღეს?
2. წინ კიდევ ბევრი სიკეთე მელის.
3. მიყვარს ხალხი, იმათაც მოსწონთ ჩემთან ურთიერთობა.
4. არ მიყვარს ისინი, ვინც ჩემს აზრს არ იზიარებენ.
5. სხვა ეპოქაში მერჩია ცხოვრება.
6. ძალიან მიყვარს სპორტის არა მხოლოდ ყურება ტელევიზორში, არამედ გატაცებაც სპორტით.
7. პატარა უსიამოვნებებსაც კი შეუძლიათ გამომიყვანონ წყობილებიდან.
8. შემიძლია განწყობილება გავიუმჯობესო ლექსებითა და მუსიკით.
9. მიყვარს წაკითხულის გაანალიზება.
10. ცხოვრებაში ცუდი ცვლილებებიც კი ღირებულია წინსვლის დროს.
11. კიდევ ბევრი რამის სწავლა მინდა.
12. ჩემი საქმე მნიშვნელოვანია და საჭირო ხალხისთვის.
13. იმდენი ინტერესი მაქვს, რომ ძლივს ვახერხებ ხელი მოვკიდო ჩემს გატაცებებს.
14. მაღიზიანებენ მუდამ მყვირალა ბავშვები.
15. მაინტერესებს ხალხის აზრი სულ სხვადასხვა საკითხებზე. ისინიც, რომლებიც ჩემსას არ ემთხვევიან.
16. სიძნელეები მხოლოდ მაკაჟებენ.
17. მიყვარს გამოგონებები: კულინარული კერძებიდან სახლში ტექნიკურ მოწყობილობამდე.
18. მიყვარს ახალი ადამიანების გაცნობა.

**თუ ამ მტკიცებებს ეთანხმებით, დაუწერეთ თქვენს თავს თითოეულისთვის 3 ქულა, თუ არა – 1. თუ ნაწილობრივ – 2 ქულა. დაიანგარიშეთ ქულები.**

**თუ მიიღეთ:**



**20 ქულამდე** – სამწუხაროდ, თქვენ ბუზღუნი გიყვართ. ზოგჯერ პესიმიზმშივარდებით. ამიტომ არ შეიძლება ითქვას, რომ თქვენ საკუთარ ბიოლოგიურ ასაკზე ახალგაზრდა ხართ. შეეცადეთ, შეხედოთ ცხოვრებას პოზიტიურად.

**20-დან 50 ქულამდე** – თქვენ სავსებით მხნე და ოპტიმისტური ბრძანდებით. მაგრამ ხშირად ითვლით ასაკს. ხშირად გეჩვენებათ, რომ ცხოვრების უდიდესი ნაწილი უკვე გავლილი გაქვთ. ეს ასე არაა. სიბერეშიც უამრავია სასიამოვნო მომენტები, რომელთა გამოტოვებაც არაფრით არ შეიძლება. გამოფხიზლდით, გაიხსენეთ, როგორი იყავით 15 წლის წინათ. ნუ მისცემთ თავს გახევების უფლებას.

**50-დან და ზევით** – სიბერე ვერაფერს დაგაკლებთ. შესაშურია თქვენი სიცოცხლისმოყვარეობა. თქვენ სულიერად ძალიან ახალგაზრდა ხართ და მალე არც დაბერდებით.

სიკვდილის ბიზნესი

# შიდსი – ეს აფიორაა?

**კაცობრიობის ახალი საფრთხე ღორის გრიპიდან მომდინარეობს. რამდენიმე წლით ადრე პანიკას ქათმის გრიპი, ატიპური პნევმონია იწვევდნენ. უკვე ოცდაათი წელია საშიშ ავადმყოფობათა სიას სათავეში შიდსი უდგას.**

**მაგრამ სად არის ატიპური პნევმონიისა და ქათმის გრიპის მილიონობით მსხვერპლი? სადაა გაუკაცრიელებული აფრიკა, თითქოსდა განწირული რომაა მთლიანად შიდსისგან?**

**ექიმმა კიევის ოლქიდან, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა გორ შირდელმა შიდსისგან ორი პაციენტი განკურნა.**

**– ბატონო შირდელ, როგორ შეძელით თითქმის შეუძლებელი – განკურნეთ ადამიანები შიდსისგან?**

– უბრალოდ, არ მიმაჩნია ეს შეუძლებლად. დაქვეითებული იმუნიტეტი პრობლემაა, რომელიც არსებობს სულ ცოტა ორასი წელიწადია. მისი გადაწყვეტა სავსებით რეალურია, თუ ხელებს არ ჩამოვუშვებთ. შიდსით დაავადებულთა სისხლში აღმოჩენილი ვირუსები არ არის დაავადების მიზეზი, არამედ ეს უკვე იმუნოდეფიციტის შედეგია.

**ვისთვისაა ხელსაყრელი**




**ქათმისა და ღორის გრიპი?**

**– რატომ მიაჩნია მთელ მსოფლიოს შიდსი განუკურნებლად?**

– 80-იანი წლების დასაწყისში ორმა ექიმმა – ამერიკელმა რობერტ გალომ და ფრანგმა ლუკ მონტანიემ – შეძლეს დაერწმუნებინათ მთელი მსოფლიო, რომ შიდსს იწვევს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი. მონტანიემ ამ „აღმოჩენისთვის“ ნობელის პრემიაც კი მიიღო, მაგრამ ამ ვირუსის ორგანიზმში ნაღდად მოძებნა არ შეუძლიათ. შიდსით დაავადებულებს ავლენენ იმ ტესტების დახმარებით, რომლებიც აღნუსხავენ სისხლში ანტისხეულებს და სრულიადაც არა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის (აივ)ძ არსებობას.

**– რისგან წარმოიქმნებიან ანტისხეულები?**

– ისინი წარმოიქმნებიან სისხლის შრატში ორგანიზმში ნებისმიერი ვირუსის ან ბაქტერიის მოხვედრის დროს. ეს ხდება გრიპის, ნებისმიერი სხვა გადატანილი დაავადების ან აცრის შემდეგ და ა.შ. შრატში ანტისხეულების აღმოჩენა იმას როდი ნიშნავს, რომ ამ მომენტში სისხლში არის ვირუსი, აივ-ტესტის დადებითი შედეგი ადამიანში შოკს იწვევს. ინფექციური შიდსის პროპაგანდისტებმა ხომ ყველა დაარწმუნეს, რომ, ჯერ ერთი, აივ-ის მფლობელი ადრე თუ გვიან, დაავადდება, მეორეც, ეს ავადმყოფობა განუკურნებელია.

**– მაშ რა გამოდის – მკურნალობის მასობრივი შეშლილობა?**

– უფრო სწორად, ეს ამერიკის დაავადების კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრის მიზანდასახული პოლიტიკის შედეგია – მისი წლიური ბიუჯეტი შიდსთან ბრძოლისთვის ხომ 2 მილიარდ დოლარს შეადგენს.

**– მაგრამ ნუთუ არავინ გამოააშკარავა ეს სიცრუე?**

– რატომ არა? მსოფლიოში ექვსი ათასზე მეტი გამოჩენილი ექიმი და მეცნიერია, ისეთები, როგორებიც არიან პროფესორი პიტერ დიუსბერგი, წიგნის – „შიდსის გამოგონილი ვირუსი“ ავტორი; ბიოქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ქერი მულისი; რობერტ უილნერი, წიგნის – „სასიკვდილო სიცრუე“ ავტორი. მათ მოჰყავთ არგუმენტები შიდსის განუკურნელობის წინააღმდეგ.

დოქტორმა რ.უილნერმა 1993 წელს გადაისხა აივ-ით ინფიცირებული სისხლი და არ დაავადებულა. აი როგორ ახსნა მეცნიერმა თავისი ექსპერიმენტის შედეგი: „ამას ვაკეთებ, რომ დავასამარო უდიდესი სასიკვდილო სიცრუე მედიცინის ისტორიაში“.

**– მაგრამ რა ვუყოთ სტატისტიკას: „ინფექციის ათეულობით მილიონი მატარებელი, მილიონობით დაავადებული“?**

– სტატისტიკა – ეს ნახევრად სიმართლეა, ის სიცრუეზე უფრო ძლიერია. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, რომელიც შიდსით ყველაზე მეტად დაავადებული ქვეყანაა, მოსახლეობა უნდა შემცირებულიყო, იგი კი 1986 წლიდან 1999 წლამდე გაიზარდა 1,7-ჯერ.

**– კეთილი, დავუშვათ, მსოფლიოში შიდსით არ არის დაავადებული 60 მილიონი ადამიანი, როგორც ამას ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია იტყობინება; შიდსისგან ყოველდღიურად იღუპება არა 18300 ავადმყოფი, არამედ ბევრად უფრო ცოტა. მაგრამ ვილაცა ხომ ავადდება და კვდება?**

– იმუნოდეფიციტი არსებობს. ამას ჩვენ არ უარვყოფთ. მის ფონზე ადამიანის ორგანიზმში ხვდება ვირუსები ან ბაქტერიები, და იღუპებიან ფილტვების ტუბერკულოზით და პნევმონიით, გამოფიტვით და სალმონელოზით დაავადებული ადამიანები... შიდსს მიაწერენ ათობით თანამდევ დაავადებას, რომლებიც, არსებითად, მასთან სულაც არ არიან დაკავშირებული. თავად შიდსისგან არც ერთი ადამიანი არ გარდაცვლილა. ნარკომანები იღუპებიან ნარკოტიკებისგან, რომლებიც ანგრევენ იმუნურ სისტემას და შიდსის დიაგნოზით დაავადებულებისთვის გამოწერილი ზოგიერთი პრეპარატისგან. პიტერ დიუსბერგის შეფასებით, მათი მიღების შედეგად გარდაიცვალა 10-დან 50 ათასამდე კაცი.

შიდსის ეპიდემია, რომელიც თითქოს მსოფლიოს ემუქრება – ხელსაყრელი ბიზნეს-პროექტია, რომლის სათავეშიც იდგნენ უდიდესი ფარმაცევტული კორპორაციები და საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციების კორუმპირებული ჩინოვნიკები, სიკვდილის ბიზნესი.

**გიორგი მალაი**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.



**დედა ლოლა, მეუღლე იათამზე თალაკვაძე, ძმა თეიმურაზი, შვილიშვილები ია, გიორგი, თორნიკე, მარიამი, ერეკლე ხურციძეები, შვილთაშვილი გიორგი (ყარამანიძ ტეტელოშვილი, რძალი ნათია ყიზილაშვილი, მანანა ჩხეიძე, ძმისწული ეკა ხურციძე, სიძე ერეკლე ტეტელოშვილი, მძახლები შოთა, ზაირა ყიზილაშვილები, გიორგი, ნინო ტეტელოშვილები, ბიძა გივი კაპანაძე, მამიდები ქანა, ჯანიკო კაპანაძეები, ბიძაშვილები რუსიკო, რამაზ, მალხაზ, თამაზ კაპანაძეები, მამიდაშვილები დათო, გელა, ვეფხია ვაშაყმაძეები, დეიდაშვილები დალი, დონარა ბეგიაშვილები, დეიდაშვილისშვილები მიხეილ, მაია ჯავახიშვილები, თიკო, იკა გოგოლაძეები, ცოლისძმა ანდრო თალაკვაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ჰამლეტ ალექსანდრეს ძე**
**ხურციძე**

პანაშვიდი 18, 19 XII, 16 სთ. გამოსვენება 20 XII, 14 სთ. მისამართი: ნუცუბიძის ქუჩა №215, ბინა №19.

გახსენება

# ლევან თევზაძე



**აღდგომის დიდი დღესასწაულის წინ ამ ქვეყნიდან მოულოდნელად, სამშოლოს გარეთ წახვედი და ზეცას ამაღლდი, აუსრულებელი დაგრჩა მრავალი ოცნება.**

**შენმა ნაადრევმა სიკვდილმა ყველა ისე გაგვამწარა, რომ მალე შენზე დარდმა მამაშენიც წაიყვანა შენსკენ.**

**ამ შობის თწინა დღეებში 36 წელი შეგისრულდებოდა. არადა, რამდენი რამ დაგრჩა გაუკეთებელი – პირველ რიგში ალბათ ოჯახს შექმნიდი, და მალე შვილსა თუ შვილებსაც შემატებდი შენს ქვეყანასაც და საგვარეულოსაც.**

**მეტი რა დაგვრჩენია, თვალცრემლიანები გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო ლევან! ღმერთმა ნათელში გამყოფოს მანდ, ზეციურ სასუფეველში!**

**ჩვენ კი შენზე ლოცვას და წმინდა სანთელს არ დავიშურებთ შენი მარადიული ხსოვნისთვის.**

შენი ოჯახი და ახლობლები

## დაიჯესტი

### სურდომ შეგაწუხათ? მაშინ...



დედამიწაზე, ალბათ, კაცი არ არის, ვისაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც სურდო არ დამართნია. რა საშუალებას არ მივმართავთ ხოლმე მაშინ, როცა ცხვირიდან როგორც გაფუჭებული ონკანიდან „წვეთავს“, მაგრამ ვიდრე სურდო გაგვივლიდეს, ზოგჯერ კვირაც არ კმარა.

ჩინელმა ექიმმა ლე ჩუანმა სურდოსგან სამუდამოდ თავის დაღწევის ორიგინალური მეთოდი შეიმუშავა: წვეთების მაგივრად იგი... პატარა გველგესლას, რომელსაც წინასწარ შხამიანი კბილები დაძრობილი აქვს, ცხვირის ნესტოში შეცურებას, შემდეგ კი თავისით მისი პირიდან გამოცურებას გულისხმობს (!!ძ. მკურნალობის შედეგი კი ის არის, რომ ამ ოპერაციის ჩამტარებელ კაცს არა მარტო სურდო არ შეეყრება არასდროს, არამედ ყელიც არასოდეს ატკივდება.

თუ რამდენად მისაღებია სურდოს მორჩენის ეს მეთოდი, თავად განსაჯეთ, ბატონებო!

### როგორ დავაღწიოთ თავი სტრესს?

**თურმე, ნუ იტყვით და წიგნის კითხვა მარტო ცოდნისა თუ ზოგადი განათლების მომცემი კი არა, არამედ... ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლო ყოფილა.** ამერიკელ მეცნიერთა მიერ ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა რამდენიმე ათასმა კაცმა მიიღო, შინაგანი დაძაბულობის მოსახსნელი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება წიგნის კითხვა ყოფილა, რის შედეგადაც პულსი და, ზოგადად, გულის მუშაობა უმჯობესდება. ეს მაჩვენებელი



დაახლოებით 70 პროცენტს შეადგენს, ამას მოყვება მუსიკის მოსმენა, რომელიც სტრესს 60 პროცენტის შემთხვევაში ხსნის, ნელი ნაბიჯით გასეირნებას კი 40-პროცენტიანი კოეფიციენტი აქვს. ამასთან, საგულისხმო ის არის, რომ ანტიდეპრესანტების მოქმედების ეფექტიანობა მხოლოდ 12 პროცენტს შეადგენს!

### ვინ არის მოდაში?

**თუ ხუთი წლის წინათ 35 წლის ასაკის ზევით სამუშაოს შოვნა იყო საკმაოდ რთული, დღეს ასაკობრივი საზღვარი გაიზარდა 50 წლამდე მამაკაცებისთვის და 47 წლამდე ქალებისთვის. ამ ასაკში არ არის გვიან, დავიწყოთ ცხოვრება თავიდან კორპორაციაში.** განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭებათ არა ახალგაზრდებსა და მოხერხებულებს, არამედ დაოჯახებულებს. ბავშვის ყოლა შვიდი წლის ასაკის ზევით – კადრის მუშაკისთვის პირდაპირ ბალზამია. სტატისტიკის თანახმად, ეს ზუსტი პროგნოზია იმისთვის, რომ სხვა ბავშვები ოჯახში არ იქნებიან, მაშასადამე კორპორაციაში აღარ გაჩნდებიან ფეხმძიმეები. ასაკის მომატებისა და დაოჯახების ეს ტენდენცია შეეხო მდივნების კორპუსის წარმომადგენლებსაც –



ამჯერად ფასი ედებათ საქმიანობას, რესპექტაბელობასა და სიმწიფეს: 35-40 წლის ქალი (რომელსაც ჰყავს ბავშვიძ – აი მდივნის იდეალური პორტრეტი. გრძელკანჭება გოგონებს ვთხოვთ, არ შეგვაწუხონ.

### იავნანა, ჩემო კარგო...

**რატომ არის, რომ დილაობით ზოგჯერ ყურთან დადგმული მაღვიძარის ტვინის მბურღავი ზარის წკრიალიც ვერ გაღვიძებთ, ზოგჯერ კი მთელი ღამის მანძილზე დაძინებას ვერ ახერხებთ? თურმე ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი დრო გძინავთ ზოგადად.** სინამდვილისგან „გათიშვის“ მინიმალური დროა საათნახევარი. ამიტომ არის, რომ თქვენ ნორმალურად გამოძინებული იღვიძებთ მაშინ, როცა ძილის ხანგრძლივობაა 1,5 ან 3 ან 4,5 ან 6 ან 7,5 საათი და



არა, ვთქვათ, 7 ან 8! 7 ან 8 საათის ძილის შემდეგ გაღვიძება ძნელია, ხოლო თვალს რომ გაახელთ, აუცილებლად „მარცხენა ფეხით“ ადგებით. არადა, გამოუძინებელი კაცი – პოტენციალურად ხელმოცარული კაცია, რომელსაც მთელი დღე აბსურდულად შეიძლება წაუვიდეს. ამიტომ, თუკი ძილის პრობლემა დაგიდგებათ, დაძინების ჩვეული დრონახევარი საათით წინ ან უკან გადაწიეთ.

## დღის კალენდარი

### 18 დეკემბერი

**28-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. პარასკევი.**

**ხსენება ღირსი საბა განწმენდილისა (532ძ; მოწამე ანასტასისა; ღირსი კირიონ ბერისა და ზაქარიასი – მეგვიპტელთა (IVძ.**



ამოდის 07.23
ჩადის 16.30



ამოდის 18.53
ჩადის 09.54

### დაიბადნენ:

1921 – **იური ნიკულინი,** რუსული კინოსა და ცირკის მსახიობი, გარდაიცვალა 1997 წელს.

1932 – **გრიგოლ (გივიძ თოიძე,** მხატვარი, პროფესორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

1947 – **სტივენ სპილბერგი,** ამერიკელი კინორეჟისორი და პროდიუსერი.

1963 – **ბრედ პიტი,** ამერიკელი მსახიობი.

### გარდაიცვალნენ:

1829 – **ჟან ლამარკი,** ევოლუციური თეორიის ფუძემდებელი.

1892 – **რიჩარდ ოუენი,** ინგლისელი ზოოლოგი.

1949 – **სემ ბენელი,** იტალიელი დრამატურგი.

### მოვლენები:

1798 – იმპერატორ პავლე I-ის ბრძანებით პეტერბურგში სამედიცინო ქირურგიული აკადემია დაარსდა.

1800 – პეტერბურგში იმპერატორ პავლე I-ის კარზე შემუშავდა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთისთვის შეერთების შესახებ.

1912 – ამერიკის კონგრესმა ქვეყანაში გაუნათლებელ პირთა იმიგრაცია აკრძალა.

1956 – იაპონია გაეროს წევრი გახდა.

1969 – დიდ ბრიტანეთში სიკვდილით დასჯა აიკრძალა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**მიგრაციის საერთაშორისო დღე.**

**ნიგერია** – რესპუბლიკის დღე.

**მედიანიუსი**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6734 ლარი |
| 1 ევრო | – 2.5267 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7877 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7592 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3389 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0852 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0946 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1179 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4614 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +6 |
| ქუთაისი. | +7 – +10 |
| ბათუმი. | +8 – +12 |
| ზუგდიდი. | +4 – +8 |
| თელავი. | +6 – -1 |

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

თუმცა ბევრი არაფერი არ მინდა, მაინც არაფერზე არ ვიტყვი უარს.

* * *

თუ ქალს ქმართან დაკავშირებით გაუმართლა, ეს არ ნიშნავს, რომ ქმარსაც გაუმართლა.

* * *

– საყვარელო, რა კარგი სურნელი აგდის! ახალი სუნამო იყიდე?

– არა, ერთი ჭიქა არაყი გადავისხი...



* * *

იმის ყველა მცდელობა რომ ავილო და სხვებს გავუყო ყველაფერი, მუდამ მთავრდება პირველ ეტაპზე – ავილო...

* * *

შენ კი არა ხარ სექს-გიგანტი, არამედ ის ქალია კარგი მსახიობი.

* * *

აგურ-აგურ აშენებდა თავის ბედნიერებას აგურის ქარხნის დარაჯი.

* * *

დრო თანაბრად დაუნდობელია იმათ მიმართაც, ვისაც უამრავი თავისუფალი დრო აქვს და იმათ მიმართაც, ვისაც იგი არასოდეს არ ყოფნის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.